

სტილისტიკური შეცდომები წინადადებაში
სიტყვათგანლაგებისას ქართული პრინცი ენაში

სხვადასხვა ენა წინადადების წევრთა დაკავშირებას სხვადასხვაგვარად აღწევს. ზოგი აფიქსთა საშუალებით ან ფუძის ფლექსიით ახერხებს ამას, ზოგს კი ასეთი აფიქსები არ მოეპოვება და სიტყვათგანლაგება, სიტყვის ადგილი წყვეტს სიტყვის ფუნქციას წინადადებაში და კავშირს სხვა წევრებთან. ასეთ ენებში სიტყვათა წყობა აზრის გამოხატვის გრამატიკული საშუალებაა და ამდენად იგი მყარ, მტკიცე წესებს ექვემდებარება. ასეთ ვითარებას ვხვდებით ზოგ შემთხვევაში ინგლისურსა და ფრანგულში, სადაც ბრუნვათა სისტემა აღარ არის და სიტყვათა წყობა ზოგჯერ გრამატიკული ფუნქციით იტვირთება — სუბიექტისა და ობიექტის გასასხვავებლად სიტყვის ადგილს ენიჭება გადამწყვეტი როლი. მსგავსი შემთხვევაა რუსული

МАТЬ ЛЮБИТ ДОЧЬ

ДОЧЬ ЛЮБИТ МАТЬ

დედას უყვარს ქალიშვილი და ქალიშვილს უყვარს დედა!

აქვე არ შეიძლება არ მოგვაგონდეს ძველი ქართული კონსტრუქცია, როცა სუბიექტად და უახლოეს ობიექტად ადამიანის საკუთარი სახელებია გამოყენებული და ორივე ფუძის სახითაა წარმოდგენილი (რადგან საკუთარ სახელებს მოთხრობითსა და სახელობით ბრუნვებში ბრუნვის ნიშნები არ ჰქონდა) და ამიტომ სახელის ფუნქციას წინადადებაში სიტყვის ადგილი განსაზღვრავს: წინ დასმული სახელი სუბიექტად გვევლინება, მომდევნო კი — ობიექტი², მაგალითად: ჰეროდე... შეიპყრა იოვანე = ჰეროდემ შეიპყრო იოვა-

¹ იხ. არნ. ჩიქობავა, ზოგადი ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 95.

² ა. შანიძე, ძველი ქართული ენა, „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“, საშუალო სკოლის IX კლასის სახელმძღვანელო, 1947, გვ. 253.

მისივე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976, გვ. 41.

ნე (სუბიექტიზ ჰეროდე), მაგრამ: **იოვანე... შეიპყრა ჰეროდე** = იოვანემ შეიპყრო ჰეროდე (სუბიექტია იოვანე).

მაგრამ ეს იყო ძველ ქართულში. თანამედროვე ენაში კი სიტყვათა რიგი თავისუფალია; სიტყვათა გადაჯგუფებით აზრი არ შეიცვლება, მაგალითად: **ჰეროდემ შეიპყრო იოვანე და იოვანე შეიპყრო ჰეროდემ**, ორსავე შემთხვევაში სუბიექტია **ჰეროდე**. ან: **დედას უყვარს შვილი და შვილი უყვარს დედას** — ორივე წინადადებაში სუბიექტია **დედას**.

ამიტომ მიაჩნიათ, რომ წინადადების წვერთა განლაგებას ჩვენს ენაში არა აქვს დაკისრებული გრამატიკული ფუნქცია და ამ მოვალეობისაგან თავისუფალი სიტყვათგანლაგება შეუზღუდავია. მაგრამ ეს აზრი მხოლოდ ნაწილობრივია სწორი. ეს თავისუფლება შედარებითია. სიტყვათგანლაგება ქართულში ნებისმიერი როდია. არსებობს გარკვეული წესები, გარკვეული ჩარჩოები, რომელთა დარღვევა არ შეიძლება. სიტყვათგანლაგებაში შეინიშნება ჩვენი ენისათვის ხშირად სახმარი, ჩვეულებრივი, ბუნებრივი შემთხვევები, მაგალითად, სულაც არაა სულერთი, როგორ ვიტყვით:

მოვიდა **ახალი** განყოფილების გამგე თუ მოვიდა განყოფილების **ახალი** გამგე.

პრესა სტილის თვალსაზრისით დახვეწილი მეტყველების ნიმუშს უნდა წარმოგვიდგენდეს, ამდენად მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სიტყვათგანლაგების საკითხს.

სიტყვათგანლაგების პრობლემა ქართულში საკმაოდ რთულია და თანაც ვრცელი, რადგან ცალ-ცალკე უნდა იქნეს გათვალისწინებული სიტყვათა რიგი სხვადასხვა ტიპის თუ სახეობის წინადადებაში. აქ მხოლოდ იმ საკითხებით შემოვიფარგლებით, რაც წამოჭრა პრესაში შენიშნულმა უზუსტობებმა სიტყვათა დალაგების მხრივ.

შემასმენლის ადგილი

ცნობილია, რომ წინადადების ღერძი არის შემასმენელი. მას უკავშირდება წინადადების ყველა დანარჩენი წევრი (გარდა განსაზღვრებებისა). ამ წევრთა ადგილიცა და ფორმაც ბევრადაა დამოკიდებული შემასმენელზე; გასაგებია, რომ წინადადების სტილიც დამოკიდებულია შემასმენლის მარჯვედ, სათანადო ადგილას ხმარებაზე.

I. კარგა ხანია აღნიშნულია, რომ ქართულში მოკლე მარტივ თხრობით წინადადებაში შემასმენელი ბოლო-

კიდურია³. მისი წინამავალი ერთი ან ორი წევრი ადვილად ამყარებს მასთან მჭიდრო სინტაქსურ და აზრობრივ კავშირს. მაგრამ, თუ წინადადება უფრო ვრცელია (შეიცავს ხუთ, ექვს, შვიდ წევრს), შემასმენელი უკვე ბოლოს კი აღარ დაისმის, არამედ წინ გადმონაცვლებს, რადგანაც ბოლოს დასმული შემასმენლის წინ თავს მოიყრიდა რამდენიმე ისეთი წევრი (ხშირად თავ-თავისი ამხსნელებით), რომლებიც ერთმანეთთან სინტაქსურად დაკავშირებული არ არიან, თითოეული მათგანი მხოლოდ შემასმენელთან ქმნის სინტაქსურ წყვილს, მასთანაა სინტაქსურ კავშირში. როდესაც რამდენიმე ასეთი წევრი შემასმენლის წინ გროვდება, უკვე ყველას ერთგვარად ვეღარ სწვდება შემასმენლის ძალა, აზრი ძნელად დასაჭერი ხდება, მიძიმდება, ბუნდოვანდება, ხოლო, როდესაც შემასმენელი — წინადადების ძირითადი კოორდინატი — წინ გამოიწვევს, წინადადების შუაში მოექცევა, რამდენიმე წევრს წინ წაიმძღვარებს, რამდენიმეს კი უკან გაიყოლებს და ამით ერთგვარად აწონასწორებს მდგომარეობას წინადადებაში. იგი „წყვეტს (არღვევს) ერთმანეთთან დაუკავშირებელი სიტყვების გრძელ ჯაჭვს და ამყარებს ორმხრივ კავშირს წინადადების სხვა წევრებთან“⁴.

ამით შემასმენელი, იმავდროულად, თავის ბუნებრივ მდგომარეობასაც ინარჩუნებს (ამ შემთხვევაშიც მას წინ უძღვის ერთი ან ორი, იშვიათად სამი წევრი).

ჩვენს პრესაში შეგვხვდება ამ ბუნებრივი ტენდენციის დარღვევის შემთხვევები: საკმაოდ გრძელ მარტივ გავრცობილ წინადადებაში შემასმენელს მაინც ბოლოს სვამენ, მას წინ უძღვის რამდენიმე წევრი თავისი ამხსნელებით, ქვემდებარე შორსაა შემასმენლისაგან და მათი კავშირი თითქოს შეფერხებულია, წინადადებას სიმსუბუქე და მოქნილობა დაუკარგავს. იგრძნობა შემასმენლის წინ წამოწევის აუცილებლობა; მაგალითად:

1. სასკოლო მშენებლობის დაჩქარება მხოლოდ ადრე გაუთვალისწინებელი ასეთი საკითხების დროზე მოგვარებით მოხერხდება („სახ. გან.“).

მართალია, აქ შემასმენელს ქვემდებარესთან ერთად წინ უძღვის პირმიუმართავი დამატება (დაჩქარება, მოგვარებით), მაგრამ თი-

³ ს. გო რ გ ა ძ ე, ქართული სადასიტყვაობა, „ძველი საქართველო“, ტ. IV, 1914—1915, გვ. 59—94.

⁴ შ. ა ფ რ ი დ ო ნ ი ძ ე, სიტყვათგანლაგება მარტივ თხრობით წინადადებაში თანამედროვე ქართულში, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, II, 1978, გვ. 16—53.

თოვულ ამ წევრს ახლავს ამხსნელები და ამხსნელთა ამხსნელები (საკითხების მოგვარებით, დროზე მოგვარებით, ასეთი საკითხების, გაუთვალისწინებელი საკითხების, ადრე გაუთვალისწინებელი, მხოლოდ ასეთი). ამდენი წევრის თავმოყრა შემასმენლის წინ სტილს ამძიმებს. საკმარისია წინ გადაწვიოთ შემასმენელი, წინადადების შუაში მოვაქციოთ იგი და გაითიშება ერთმანეთზე მიყოლებული სახელები, შემასმენელი უკეთ დაიკავშირებს ყველა წევრს, წონასწორობა აღდგება; გვექნება: სასკოლო მშენებლობის დაჩქარება მოხერხდება მხოლოდ ასეთი, ადრე გაუთვალისწინებელი საკითხების დროზე მოგვარებით.

2. ქვემდებარისაგან შემასმენლის დაშორება და წინადადების ბოლოს დასმა სტილს ამძიმებს შემდეგ წინადადებაშიც:

პირველობა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისა და საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის მზადების ნიშნით ჩატარდა („ლელო“).

ქვემდებარესა და შემასმენელს შორის (პირველობა ჩატარდა) მოქცეულია ვითარების გარემოება, რომელსაც ბევრი ამხსნელი და ამხსნელის ამხსნელი ახლავს (ნიშნით ჩატარდა, მზადების ნიშნით, წლისთავისათვის მზადების, ორმოცდაათი წლისთავისათვის, სახელმწიფოს წლისთავისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს, სპარტაკიადისთვის მზადების, IV სპარტაკიადისთვის, საიუბილეო სპარტაკიადისთვის, ხალხთა სპარტაკიადისთვის, სსრ კავშირის ხალხთა).

ჩვეულებრივ ვითარების გარემოება შემასმენლის წინ ისმის ხოლმე, თუ ეს ვითარების გარემოება მარტივია (მაგ.: პირველობა კარგად ჩატარდა), ხოლო, როცა მას ახლავს ვრცელი ამხსნელები, რომლებიც დიდი მანძილით თიშავენ ქვემდებარესა და შემასმენელს, აჯობებს შემასმენლის ხმარება ამ გარემოების წინ, ქვემდებარის მეზობლად; გვექნება:

პირველობა ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისა და საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის მზადების ნიშნით.

3. შემასმენლის წინ თავმოყრილია ოთხი სხვადასხვა წევრი შემდეგ წინადადებაში:

ენათმეცნიერები უფრო ხშირად ყურადღებას ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკას აქცევენ („უხე სკოლაში“).

შემასმენლის წინ გადაწევა და ქვემდებარის მოთავსება მის მეზობლად ამ წინადადების სტილს გააუმჯობესებს:

უფრო ხშირად ენათმეცნიერები ყურადღებას აქცევენ ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკას.

ან: ენათმეცნიერები უფრო ხშირად ფრაზეოლოგიზმთა სემანტიკას აქცევენ ყურადღებას.

4. შემასმენლის (და არა მარტო შემასმენლის) ადგილი შესაცვლელია შემდეგ წინადადებაშიც:

ჩვენმა მთავლელებმა პირველად სამამულო ალბინიზმის ისტორიაში, ერთ სეზონში ოქროს ორი დიდი მედალი მოიპოვეს ოთხიდან, სულ კი 11 უმაღლესი ჯილდო („კომ.“).

აჯობებდა ასეთი სიტყვათგანლაგება:

ჩვენმა მთავლელებმა პირველად სამამულო ალბინიზმის ისტორიაში ერთ სეზონში მოიპოვეს ოთხიდან ორი დიდი ოქროს მედალი, სულ კი 11 უმაღლესი ჯილდო.

5. ქალაქის მეორე საშუალო სკოლას ამ დღეებში ძვირფასი სტუმარი — სკოლის ყოფილი აღზრდილი ცნობილი მათემატიკოსი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ანდრია ბიწაძე ეწვია („კომ.“).

წინადადების სტილი დიდად გაუმჯობესდება, თუ ბოლოს მყოფ შემასმენელს წინ, ქვემდებარის მეზობლად გადავიტანთ.

ქალაქის მეორე საშუალო სკოლას ამ დღეებში ეწვია ძვირფასი სტუმარი — სკოლის ყოფილი აღზრდილი...

არ ვარგა შესიტყვება: **ყოფილი აღზრდილი**. საკმარისია ვთქვათ: **აღზრდილი**.

მარტივ წინადადებაში შემასმენლის ადგილის შერჩევაში სხვა სახის დარღვევაც გვხვდება: შემასმენელს ზოგჯერ უმართებულოდ გადასწევენ წინ, თავკიდურად დასვამენ ხოლმე. მას მოსდევს ქვემდებარე და სხვა წევრებიც, უძღვის მხოლოდ მისი განუყრელი წევრი — ვითარების გარემოება.

1. მეგობრულად გადახვია ხელი ლენინის ორდენოსანი ნატანების კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანმა... ვაზისუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს („სოფლ. ცხოვრ.“).

ამ წინადადებას ისიც ამძიმებს, რომ ქვემდებარეს ძალზე ვრცელი ამხსნელები ახლავს, მაგრამ სტილი მაინც უკეთესი იქნება, თუ ამ ქვემდებარეს, თუნდაც თავისი ვრცელი ამხსნელითურთ, წინ გადავსვამთ, შემდეგ ვითარების გარემოებებსა და შემასმენელს დავსვამთ და მას მივავოლებთ დამატებას.

გვექნება: ნატანების ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის პარტიული ბიუროს მდივანმა... მეგობრულად გადახვია ხელი ვაზის-უბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

2. გარდატეხა მოხდა სპექტაკლში „ქალი კამელიებით“ დადგმის შემდეგ („საბჭ. ხელ.“).

აქ შემასმენლის უადგილოდ დასმა ორაზროვნების საფრთხე-საც კი ქმნის. გამოდის, თითქოს გარდატეხა მოხდა რაღაც სპექტაკლში მას შემდეგ, რაც დაიდგა „ქალი კამელიებით“. თუ შემასმენელს (ქვემდებარიანად) უბრალო დამატების შემდეგ გადავსვამთ, გასაგები გახდება ავტორის სათქმელი:

სპექტაკლში „ქალი კამელიებით“ გარდატეხა მოხდა (+ მისი) დადგმის შემდეგ.

შენიშნულია, რომ კითხვითი სიტყვის შემცველ წინადადებაში შემასმენელი კითხვითი სიტყვის შემდეგ იხმის⁵. ზოგჯერ ამ წესს არღვევენ.

მაგალითად:

დაგვაფიქრა ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა ფაქტმაც — რატომ... ყველა უპატიოსნოს შეუძლია გაიტანოს აკრძალული ტვირთი? („კომ.“).

უნდა იყოს:

დაგვაფიქრა ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა ფაქტმაც — რატომ შეუძლია ყველა უპატიოსნოს... გაიტანოს აკრძალული ტვირთი?

II. თუ მარტივ (თხრობით) წინადადებაში უმჯობესია წევრთა ასეთი დალაგება: ქვემდებარე + დამატება + შემასმენელი (მაგ.: რაიონის საწარმოებმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს), შე რ წ ყ მ უ ლ წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა შ ი, სადაც რამდენიმე ერთგვარი ქვემდებარე გვაქვს, ვითარება იცვლება.

ზოგჯერ წინადადებაში არის რამდენიმე ერთგვარი წევრი თავისი ამხსნელებით და აგრეთვე სხვა წევრებიც; ასეთ წინადადებაში შემასმენლის ბოლოკიდურად დასმა ამძიმებს და აბუნდოვანებს სტილს. საჭიროა მისი წინ წამოწევა, ამ ნაირგვარ წევრებს შორის ჩასმა, რათა შემასმენლის ძალა ერთგვარად გასწვდეს ყველას და უკეთ შეძლოს ყველა წევრთან კავშირის დამყარება. მაგალითად:

1. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა, სამტრესტის გორის ქარხანათა სამმართველომ, ყველ-კარაქის მთავარმა ქარხანამ, ცეკავშირის მაცივარმა პროდუქციის რეალიზაციის გეგმები გადაჭარბებით შესრულეს („გამარჯვ.“).

⁵ ლ. კ ვ ა ჭ ა ძ ე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1966, გვ. 27; შ. ა ფ - რ ი დ ო ნ ი ძ ე, სიტყვათგანლაგება ე. წ. „სპეციალურ კითხვებში“, თსუ შრ., ტ. 200, ენათმეცნიერება, 1978.

ამ წინადადებაში გვაქვს ერთგვარი ქვემდებარეები: **სამმართველომ, ქარხანამ, მაცივარმა**, ამას გარდა წინადადებაში არის სხვა წევრებიც: ვითარების გარემოება (**გადაჭარბებით**), დამატება (**გეგმები**), დამატების ამხსნელი (**რეალიზაციის გეგმები**) და ამხსნელის ამხსნელი (**პროდუქციის რეალიზაციის**).

ეს წევრები (**გარდა მსაზღვრელებისა**) — ე. ი. რამდენიმე ქვემდებარე, ვითარების გარემოება, დამატება — სინტაქსურად ერთმანეთთან არ არიან დაკავშირებული, — ყველა მათგანი დამოუკიდებლად უკავშირდება შემასმენელს და, როცა ამდენი ერთმანეთთან დაუკავშირებელი წევრი წინ უსწრებს შემასმენელს, სტილი მიძიდება, ბუნდოვანდება, აზრი ძნელად აღსაქმელი ხდება. საკმარისია შემასმენელმა ისეთი პოზიცია დაიკავოს, რომ რამდენიმე წევრი წინ უძლოდეს მას, რამდენიმე კი მოსდევდეს და წინადადება უკეთ შეიკვრება, შემასმენლის ძალა ყველა წევრს გასწვდება, ყველაზე განაწილებდება და სტილი გამსუბუქდება:

პროდუქციის რეალიზაციის გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს რაიონის სამრეწველო საწარმოებმა — სამტრესტის გორის ქარხანათა სამმართველომ, ყველ-კარაქის მთავარმა ქარხანამ და ცეკავშირის მაცივარმა.

2. მეორე ჯგუფში გამარჯვებისათვის მარტო მანქანათმშენებლობის, საფინანსო-ეკონომიური და ტოპოგრაფიული ტექნიკუმების გუნდები იბრძოდნენ („ლელო“).

ამ წინადადებაში გვაქვს ერთგვარი მსაზღვრელები (**მანქანათმშენებლობის, საფინანსო-ეკონომიური, ტოპოგრაფიული**), ეს ერთგვარი მსაზღვრელები **ტექნიკუმებს** ამხსნელია. თვით **ტექნიკუმები გუნდების** მსაზღვრელია. ასეთი რთული ჯაჭვი ამხსნელებისა დიდი მანძილით თიშავს თავში დასმულ ადგილისა და მიზნის გარემოებას შემასმენლისაგან. შემასმენლის წინ დაგროვილია რამდენიმე წევრი: განსაზღვრება, ადგილის გარემოება, მიზნის გარემოება, სამი მსაზღვრელის მსაზღვრელი, ქვემდებარის მსაზღვრელი და ქვემდებარე. საკმარისია შემასმენელი ამ წევრებს შორის ჩავსვათ (მიზნის გარემოების შემდეგ) და სტილი გაიმართება. გვექნება ასე:

მეორე ჯგუფში გამარჯვებისათვის იბრძოდნენ მარტო მანქანათმშენებლობის, საფინანსო-ეკონომიური და ტოპოგრაფიული ტექნიკუმების გუნდები.

III. რთულ წინადადებაში სიტყვათგანლაგების საკითხი, ცხადია, უფრო რთულად დგას. ამ შემთხვევაშიც ჩვენ შევ-

ჩერდებით რთულ წინადადებაში სიტყვათგანლაგების იმ წესებზე, რომელთა დარღვევის ფაქტებიც შეგვხვდა პრესის ენაში.

ა. დამატებითი და ქვემდებარული დამოკიდებული წინადადება-ზოგჯერ კითხვით სიტყვას შეიცავს (*რა, როგორ, რაგვარად...*) და ეს წინადადება თუ კავშირითაა შეერთებული მთავართან, გვაქვს: *თუ რა, თუ როგორ, თუ რაგვარად...* ასეთ დამოკიდებულში შემასმენელი (უახლოესი ამხსნელითურთ) ამ კითხვით სიტყვას მისდევს. მაგალითად:

ელიკო ვერ მიმხვდარიყო, თუ რისთვის მოსულიყვნენ მასთან სტუმრები (ლ. ქიჩ.). შენ კი მიამბობ შფოთვანარევ განცდით და გზნებით, თუ როგორ ყიდდნენ თეთრ ხიდესთან ენქლებს ძმები („ცისკ.“).

ჩვენს გაზეთებში ზოგჯერ ასეთ დამოკიდებულ წინადადებაში გათიშულია კავშირი და კითხვითი სიტყვა (*თუ რა, თუ როგორ...*), შემასმენელიც მოშორებულია კითხვითი სიტყვისა და კავშირისაგან და ბოლოსაა გადატანილი, ამიტომ წინადადებაც სტილისტურად გაუმართავია. მაგალითად:

1. საგაზეთო წერილში ყველაფერზე ლაპარაკი ძნელია, იმის აღნიშვნა კი აუცილებელია, თუ სასწავლო აღმზრდელობითს მუშაობაში პედაგოგებს რა ნაკლი ჰქონდათ („სახ. გან.“).

წინადადების სტილი რომ დაიხვეწოს, წინ — თუ კავშირის შემდეგ — უნდა გადავიდეს რა კითხვითი სიტყვა და შემასმენელი თავისი უახლოესი წევრით (ბრუნვაცვალებადი დამატება). გვექნება:

... იმის აღნიშვნა კი აუცილებელია, თუ რა ნაკლი ჰქონდათ პედაგოგებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში.

2. მომხსენებელს არაფერი უთქვამს იმის შესახებ, თუ ღირეჟციამ რა აღმინისტრაციული ზომები მიიღო ამ პედაგოგების მიმართ („სახ. გან.“).

დამოკიდებულ წინადადებაში სიტყვები ასე უნდა დალაგდეს:

... თუ რა აღმინისტრაციული ზომები მიიღო ღირეჟციამ ამ პედაგოგების მიმართ.

3. ამხანაგური სასამართლოების ქმედითუნარიანობა დამოკიდებულია იმაზე, თუ სასამართლოს შემადგენლობაში ვინ არის არჩეული („გამარჯვ.“).

უნდა იყოს: ... დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის არჩეული სასამართლოს შემადგენლობაში...

ბ. რთულ ქვეწყობილ წინადადებაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ გარკვეულ შემთხვევებში წინადადების სტილისტურად გამართვისათვის საჭიროა დამოკიდებულ წინადადებაში შემასმენლის თავკიდურ პოზიციაში დასმა.

1. საუბრები საინტერესო განსაკუთრებით გახდა იმან, რომ უხვი მოსავლის მოყვანის თავიანთ გამოცდილებაზე ილაპარაკეს („საქ. ავტ.“).

დამოკიდებულში შემასმენელი წინ უნდა გადმოვიდეს; გვექნება:

საუბრები საინტერესო განსაკუთრებით იმან გახდა, რომ ილაპარაკეს უხვი მოსავლის მოყვანის გამოცდილებაზე.

2. იანვრის დღეებში კოლმეტურნობები ბეჯითად მუშაობენ იმისთვის, რომ შარშანდელთან შედარებით მოიყვანონ უფრო მეტი თამბაქო („კომ.“).

უნდა: ... მუშაობენ იმისთვის, რომ მოიყვანონ მეტი თამბაქო შარშანდელთან შედარებით (ან: ვიდრე შარშან). ან: ... რომ შარშანდელთან შედარებით მეტი თამბაქო მოიყვანონ.

3. გამოფენილია... „კომუნისტის“ ის ნომერი, სადაც ჯანსუღ ჩარკვიანის პოემიდან „მირზა გელოვანი“ ნაწყვეტია დაბეჭდილი („ახ. კომ.“).

აქაც შემასმენელი კავშირის შემდეგ უნდა დაისვას. გვექნება: გამოფენილია... ის ნომერი, სადაც დაბეჭდილია ნაწყვეტი ჯ. ჩარკვიანის პოემიდან „მირზა გელოვანი“.

4. გ. ნუცუბიძე სამუშაოდ მოეწყო ელსადგურში მუშად, სადაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე იმუშავა („კომ.“).

უნდა: გ. ნუცუბიძე სამუშაოდ მოეწყო მუშად ელსადგურში, სადაც იმუშავა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

5. კალინინგრადში, სადაც საპატიო ჯილდოსათვის მოჭადრაკე ქალები იბრძვიან, მესამე წრეში შეჯიბრებას გამოეთიშა თბილისელი ე. კაკაბაძე („ლელო“).

შემასმენელი ქვემდებარითურთ კავშირის შემდეგ უნდა გადაისვას:

კალინინგრადში, სადაც მოჭადრაკე ქალები იბრძვიან საპატიო ჯილდოსათვის, მესამე წრეში შეჯიბრებას გამოეთიშა...

გ. მთავარი წინადადების შემასმენლის ადგილი შესაცვლელია შემდეგ წინადადებაშიც:

ავღანეთის, ინდოეთის, ნეპალის, პაკისტანისა და ცეილონის მთავრობები, რომლებთანაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მოლაპარაკებას აწარმოებდა აპრილში აზიის ქვეყნებში მოგზაურობის დროს, ასეთივე აზრისანი არიან („კომ.“).

აქ მთავარი წინადადება გაყოფილია, თავში დატოვებულია ქვემდებარე თავისი ერთგვარი განსაზღვრებებით, შემასმენელი კი ბოლოსაა გადატანილი და ქვემდებარესა და შემასმენელს შორის ჩასმულია საქმაოდ ვრცელი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება. სტილი მძიმეა. აზრი გაბუნდოვანებულია, თუ წინ გადავსვამთ მთავარი წინადადების შემასმენელს, სტილი გამოსწორდება:

ასეთივე აზრისანი არიან ავღანეთის... და ცეილონის მთავრობები, რომლებთანაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მოლაპარაკებას აწარმოებდა აპრილში აზიის ქვეყნებში მოგზაურობის დროს.

ზოგჯერ შეგვხვდება დამოკიდებულ წინადადებაში უმართებულად წინ წამოწეული შემასმენელი, მაგ.:

ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხს, რომლებიც შეკავშირებული არიან საერთო ინტერესებითა და საერთო მიზნებით ერთსულოვან ძმურ ოჯახად, დიდი და სახელოვანი საქმეები აქვთ გადასაწყვეტი („კომ.“).

აჯობებდა: ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხს, რომლებიც საერთო ინტერესებითა და საერთო მიზნებით არიან შეკავშირებული ერთსულოვან ძმურ ოჯახად, დიდი და სახელოვანი საქმეები აქვს გადასაწყვეტი.

ქვემდებარის ადგილი

ჩვენს პრესაში გვხვდება ქვემდებარის ადგილის უმართებულად შერჩევის ფაქტებიც.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ქვემდებარე უპირატესად თავკიდურ პოზიციაში გვხვდება მოკლე მარტივ თხრობით წინადადებაში, მრავალწევრიან მარტივ წინადადებაში კი იგი მარჯვნივ ინაცვლებს მაშინ, როცა შემასმენელი წინ, მარცხნივ მოიწევს, ე. ი. გრძელ წინადადებაში ქვემდებარე და შემასმენელი ერთმანეთთან მიახლოების ტენდენციას ამჟღავნებენ. ეს უფრო მეტად გარდაუვალ ზმნებთან შეინიშნება (პირდაპირი ობიექტი ხელს არ უშლის).

გარდამავალი ზმნით გადმოცემულ შემასმენელს ქვემდებარე წინ უსწრებს, პრეპოზიციურია. თუ ქვემდებარეს ლოგიკური მახვილი მოუღის, იგი უშუალოდ შემასმენლის წინ მოექცევა. მაგრამ ხშირია შემასმენლის შემდეგ ქვემდებარის გადასმის შემთხვევებიც და

სათანადო პირობები ასეთი გადასმისა აღნუსხულია სპეციალურ ლიტერატურაში⁶.

1. ქვევით ჩვენი უურნალ-გაზეთებიდან მოგვყავს მაგალითები, რომლებშიც სასურველია ქვემდებარის ადგილის უფრო მარჯვედ შერჩევა:

1. ასევე დამაჯრებლად იყო დასმულ კითხვებზე ლ. მოსიაშვილის, ე. სხირტლაძის... და სხვების პასუხები („ახ. ცხოვრ.“).

ჯერ ერთი, უნდა: **დამაჯრებელი იყო** და არა **დამაჯრებლად იყო**. მეორეც, უმართებულოდაა გადატანილი წინადადების ბოლოს ქვემდებარე და მის წინ წამოწეული პირმიუმაართავი დამატება. საჭირო იყო ასე დალაგება სიტყვებისა: ასევე დამაჯრებელი იყო ლ. მოსიაშვილის, ე. სხირტლაძის... და სხვების პასუხები დასმულ კითხვებზე.

2. საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ფინიშისადმი ინტერესი ლიდერთა ბრძოლამ მკვეთრად გაზარდა („ლელო“).

აჯობებდა: ... ჩემპიონატის ფინიშისადმი ინტერესი მკვეთრად გაზარდა ლიდერთა ბრძოლამ. ან: ლიდერთა ბრძოლამ მკვეთრად გაზარდა ინტერესი საქართველოს ვაჟთა ჩემპიონატის ფინიშისადმი.

3. ინდოჩინეთში წყალმოვარდნის გაანგარიშების პრინციპები გააცნო სემინარის მონაწილეებს ინდოჩინეთის მთავრობის წყლისა და ენერგეტიკული რესურსების ცენტრალური კომისიის თავმჯდომარემ („კომ.“).

ქვემდებარე წინადადების ბოლოსაა მოქცეული (**თავმჯდომარემ**) მას შემასმენლის წინ თუ გადმოვიტანთ, წინადადების სტილი გაუმჯობესდება; გვექნება:

ინდოჩინეთის მთავრობის წყლისა და ენერგეტიკული რესურსებით ცენტრალური კომისიის თავმჯდომარემ სემინარის მონაწილეებს გააცნო ინდოჩინეთში წყალმოვარდნის გაანგარიშების პრინციპები.

4. საჭიროა ქვემდებარის (და არა მარტო ქვემდებარის) ადგილის შეცვლა ასეთ წინადადებაში:

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვ. ი. ლენინის მიერ კაპიტალიზმის საზოგადოებაში წლიური წარმოების ორი შემადგენელი ნაწილის შესახებ სისმონდის მოძღვრების კრიტიკული განხილვა („საქ. ეკონ.“).

⁶ შ. აფრიდონიძე, სიტყვათა განლაგება მარტივ თხრობით წინადადებაში, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, II, 1978, გვ. 16—53.

აჯობებს: ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვ. ი. ლენინის მიერ კრიტიკული განხილვა სისმონდის მოძღვრებისა კაპიტალიზმის საზოგადოებაში წლიური წარმოების ორი შემადგენელი ნაწილის შესახებ.

II. ყურადღებას იქცევს შემთხვევები, როდესაც სახელშემნით გადმოცემულ ქვემდებარეს შემასმენლისაგან მოშორებით მიუჩენენ ხოლმე ადგილს. მაგალითად:

1. ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის საჭიროა მათი უხვი, ცილებით და მინერალური ნივთიერებებით მდიდარი საკვებით კვება („სოფლ. ცხოვრ.“).

უმჯობესია ქვემდებარე წინ გადაისვას, შემასმენლის შემდეგ: ... საჭიროა მათი კვება უხვი, ცილებითა და მინერალური ნივთიერებებით მდიდარი საკვებით.

2. საჭირო იყო ამ ექვსასკომლიანი სოფლის მოწინავეთა რიგებში ჩადგომა („კომ.“).

ქვემდებარის ასეთი პოზიცია ორაზროვნების საშიშროებასაც კი ქმნის. შეიძლება ეს წინადადება ასე გაიგონ: ამ სოფელს ჰქონდა მოწინავეთა რიგები და საჭირო იყო ვილაცის ჩადგომა ამ რიგებში. გადმოსაცემი აზრი ნათელი გახდება, თუ სიტყვებს სხვაგვარად დავალაგებთ:

საჭირო იყო ექვსასკომლიანი სოფლის ჩადგომა (ან: ჩაყენება) მოწინავეთა რიგებში.

3. სახელმძღვანელოს წითელ ზოლად გასდევს თვითეული საკითხის მარქსისტულ-ლენინური პარტიულობის პრინციპების დაცვით გაშუქება („საქ. კომ.“).

სახელშემნით გადმოცემული ქვემდებარე (გაშუქება) ბოლოკიდური პოზიციიდან წინ უნდა გადაისვას, თავისი განსაზღვრების შემდეგ (თუ საერთოდ ვარგა გამოთქმა: **გასდევს გაშუქება**). სწორი არ არის აგრეთვე **თვითეული**, უნდა: **თითოეული**.

გვექნება: სახელმძღვანელოს წითელ ზოლად გასდევს თითოეული საკითხის გაშუქება მარქსისტულ-ლენინური პარტიულობის პრინციპების დაცვით.

4. ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა კუბის სახელოვანი კომუნისტური პარტიის პირველი ყრილობისათვის მზადების დაწყება, რომელიც გაისად გაიმართება („კომ.“).

აქ ქვემდებარის უადგილოდ ხმარება აზრსაც კი აბუნდოვანებს: გამოდის, რომ გაისად გაიმართება „მზადების დაწყება“. ქვემდებარის გადასმა შემასმენლის ახლოს წინადადებას გამართავს სტილისტიკურად, ნათელი იქნება აზრიც:

ამის ერთ-ერთი გამოვლინებაა მზადების დაწყება კუბის სახელოვანი კომუნისტური პარტიის I ყრილობისათვის, რომელიც გაისად გაიმართება.

უკვე ნათელია, რომ გაისად გაიმართება ყრილობა.

5. აქ ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია... წინსვლისა თუ ჩამორჩენის სწორედ ციფრებისა და ფაქტების მოშველიებით ჩვენება („ხაჭ. აგიტ.“).

ქვემდებარის (ჩვენება) გადასმა შემასმენლის მეზობლად გამართავს წინადადებას:

აქ ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია წინსვლისა თუ ჩამორჩენის ჩვენება სწორედ ციფრებისა და ფაქტების მოშველიებით.

III. ყურადღება მიიქცია ე. წ. საერთო ქვემდებარის ადგილმაც. ცნობილია, რომ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარსა და დამოკიდებულ წინადადებას ზოგჯერ საზიარო ქვემდებარე აქვს. ამ ქვემდებარეს ხან მთავარში მოაქცევენ ხოლმე, ხან დამოკიდებულში.

მაგალითად:

ბიჭმა როდესაც ამხანაგი დაინახა, გაიქცა (ქვემდებარე დამოკიდებულშია). როდესაც ამხანაგი დაინახა, **ბიჭი** გაიქცა (ქვემდებარე მთავარშია).

სტილისტიკურად უმჯობესია ეს საზიარო ქვემდებარე მთავარ წინადადებაში ვიხმართ (როდესაც ამხანაგი დაინახა, **ბიჭი** გაიქცა). დამოკიდებულში ქვემდებარის ხმარებით ზოგჯერ ორაზროვნებაც კი იქმნება, მაგ.:

ბიჭმა როდესაც ამხანაგი დაინახა, გაიქცა. ვინ გაიქცა, ბიჭი თუ ამხანაგი? ამ უხერხულობას გრძნობენ და მის თავიდან ასაცილებლად მთავარში ან ნაცვალსახელს იყენებენ ქვემდებარის შემცვლელად, ან იმეორებენ ქვემდებარეს. მაგ.:

ბიჭმა როდესაც ამხანაგი დაინახა, ის გაიქცა.

ან: **ბიჭმა** როდესაც ამხანაგი დაინახა, **ბიჭი** გაიქცა.

ნაცვალსახელის გამოყენებას კიდევ არა უშავს, ქვემდებარის გამეორება კი სტილისტიკურად არ ვარგა.

ზოგჯერ მთავარი წინადადება ვათიშულია, დამოკიდებულის წინ არის ქვემდებარე, ის წევრი, რომელიც საზიაროა. ამით თითქოს უნდათ გახაზონ მისი კავშირი მომდევნო დამოკიდებულ წინადადებასთან.

მაგალითად:

1. კორჩნოი, სანამ მეასე სვლას გააკეთებდა, მეტოქეს ყაიმი შესთავაზა („კომ.“).

სტილისტიკურად უმჯობესია ქვემდებარის მოქცევა მთავარ წინადადებაში:

სანამ მეასე სვლას გააკეთებდა, კორჩნოი მეტოქეს ყაიმი შესთავაზა.

2. სოციალური წყობა, სანამდე პროგრესულია, ნაკლებად ბადებს ხელოვნებასა და აუდიტორიას შორის კონფლიქტს („საბჭ. ხელ.“).

აჯობებს: სანამდე პროგრესულია, სოციალური წყობა ნაკლებად ბადებს კონფლიქტს ხელოვნებასა და აუდიტორიას შორის.

დამატების აღგილი

I. დადგენილია, რომ ვითარების გარემოების შემდეგ პირდაპირი დამატება შემასმენლთან ყველაზე ახლოს იჭერს ადგილს. ამ ფაქტს გარკვეულ ახსნასაც უძებნიან (ოდიოვან პირდაპირი დამატება ბრუნვის ნიშნის გარეშე, გაუფორმებელი აყო. შემდეგ მან სახელობითი ბრუნვის ფორმა გამოიყენა. ასეთი წევრი, ბუნებრივია, ცდილობდა მთავარ კოორდინატთან, შემასმენლთან, ახლოს დგომას. დღესაც პირდაპირი დამატება შემასმენლის მეზობლობისაგან ისწრაფვის. ამაში მას მხოლოდ ვითარების გარემოება თუ შეეცილება)⁷.

რადგან ეს საკმაოდ მკაფიოდ გამოკვეთილი ტენდენციაა, ცხადია, თვალში საცემია ისეთი შემთხვევები, როცა პირდაპირ დამატებას შემასმენლისაგან მოშორებით სვამენ. ასეთი წინადადება მაშინვე სტილისტიკურად დასახვეწი მოგვეჩვენება. მაგალითად:

1. ინფორმაცია გამოცემის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ გააკეთა ენციკლოპედიის მთავარმა რედაქტორმა („კომ.“).

უმჯობესია: გამოცემის მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა... რედაქტორმა.

2. მისი ასეთი მიდგომა ავადმყოფებს ლამის უწამლოდაც ჰკურნავს („გამარჯვ.“).

⁷ ბ. ფოჩუა სიტყვათგანლაგებისათვის ქართულში, იკე, XIII, 1962, გვ. 109—123.

აჯობებდა: მისი ასეთი მიდგომა ლამის უწამლოდაც კურნავს ავადმყოფებს.

3. მეტრეველი წინ გაიჭრა, მაგრამ როგორც ჩანს, მომავალმა ავრონომმა ტემს აღრე უმატა, ძალა ბოლომდე არ ეყო და უპირატესობა კაზაკოვას ზედ ფინიშთან დაუთმო („ლელო“).

აჯობებდა: ... ბოლომდე არ ეყო ძალა და კაზაკოვას ზედ ფინიშთან დაუთმო უპირატესობა.

II. დადგენილია ისიც, რომ ირიბი დამატება მოკლე თხრობით წინადადებაში ცდილობს მოხვდეს წინადადების მარცხენა ან შუა ნაწილში (მაგ.: კაცი კაცს ველარა ჰნდობია: ილია), ხოლო გრძელ წინადადებაში იგი მარჯვნივ მიიწევს (მაგ.: ტუსალმა რამდენჯერმე ნაზად შემოუსვა ხელი ბავშვის ხელს: ნ. ლორთქ.)⁸.

ეს წესი, რა თქმა უნდა, აბსოლუტური არაა, მაგრამ ძირითად ტენდენციას, გარკვეული ტიპის წინადადებებში მაინც, სწორად ასახავს.

როდესაც ეს ტენდენცია ირღვევა, სტილი მძიმდება, ჩნდება სურვილი სიტყვათგანლაგების შეცვლისა. მაგალითად:

1. დარბაზობას არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ ესწრებოდნენ ინდუსტრიის მინისტრის მოადგილე... („კომ.“).

ირიბი დამატება (დარბაზობას) თავკიდური პოზიციიდან მარჯვნივ რომ გადაეწიოთ, წინადადება უკეთ გამართული იქნება:

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ დარბაზობას ესწრებოდნენ...

მით უმეტეს, რომ იმავე სტატიაში სხვა ადგილას ვკითხულობთ: საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობას ესწრებოდნენ...

2. მიზანს ვერც სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, პერმელმა სპორტის ოსტატმა მ. ლოგინოვმა („ბურევესტნიკი“) მიადწია („ლელო“).

ირიბი დამატება (მიზანს) თავკიდური პოზიციაშია. მას მოსდევს ქვემდებარე თავისი ამხსნელებით და შემასმენელი. უმჯობესია ირიბი დამატება ბოლოს გადავიტანოთ (მით უმეტეს, რომ მიზანს მიადწია საკმაოდ მყარი შესიტყვება).

⁸ უ. აფრიდონიძე, სიტყვათგანლაგება მარტივ თხრობით წინადადებაში თანამედროვე ქართულში, „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, II, 1978, გვ. 28.

გვექნება: სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, პერმელმა სპორტის ოსტატმა მ. ლოგინოვმაც ვერ მიაღწია მიზანს. ან: მიზანს ვერ მიაღწია... ვერც ლოგინოვმა.

3. რესტორანში ახალ წელს მრავალი კომინიოველი მშრომელი შეხვდა („კომ.“).

აჯობებს: რესტორანში მრავალი კომინიოველი მშრომელი შეხვდა ახალ წელს.

III. დახვეწილი სტილისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პირმიუმაართავი დამატების ადგილსაც. პირმიუმაართავი დამატება შეიძლება ახლდეს ზმნა-შემასმენელსაც და წინადადების სხვა წევრებსაც, გადმოცემულთ საწყისით, მიმღობით, ზედსართავით ან ზმნისართით. მაგალითად:

სახელზმნით გადმოცემულ წევრთან პირმიუმაართავი დამატება ამ წევრის ახლო მეზობელია⁹. პრესის ენაში კი ხშირად შეგვხვდება ასეთი დამატება დასმული სახელზმნით გადმოცემული წევრისაგან მოშორებით. მაგალითად:

1. რეფორმის განხორციელება... დღის წესრიგში აყენებს სამეურნეო ანგარიშზე ზემდგომი სამეურნეო ორგანოების გადაყვანის საჭიროებასაც („კომ.“).

პირმიუმაართავი დამატება (ანგარიშზე) უკავშირდება სიტყვას — გადაყვანის, ამიტომ მის მეზობლად უნდა ვიხმართ: რეფორმის განხორციელება... დღის წესრიგში აყენებს ზემდგომი სამეურნეო ორგანოების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის საჭიროებასაც.

2. სასადილოთა ქსელის მატების დავალებათა სისტემატურმა შეუსრულებლობამ ის გამოიწვია, რომ რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა უზრუნველყოფამ სასადილოებით შეადგინა მხოლოდ 70 პროცენტი.

წინადადება საერთოდ მძიმედაა აგებული, აჯობებდა: იმის გამო, რომ სისტემატურად არ სრულდება სასადილოთა ქსელის მატების დავალებანი, სასადილოებით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა უზრუნველყოფამ მხოლოდ 70% შეადგინა.

3. ვიწყებდი გაკვეთილს, მაგრამ შეკითხვით კი არა იმაზე, თუ რა ჰქონდათ მიცემული (ეს არ შეიძლება), არამედ დავასახელებდი პირდაპირ გამოსაკითხავ მასალას („კომ.“).

უნდა: ვიწყებდი გაკვეთილს, მაგრამ იმის შეკითხვით კი არა, თუ რა ჰქონდათ მიცემული...

⁹ ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1977, გვ. 215.

ან: არა იმის შეკითხვით, თუ რა ჰქონდათ მიცემული...

პირმიუმართავი დამატება ასევე მეზობლად უნდა დაისვას არსებითი სახელით გადმოცემულ ქვემდებარესა და დამატებასთან. მაგალითად:

1. სომხეთის დედაქალაქში დაიწყო ჩოგბურთში სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი („კომ.“).

ქვემდებარეს (ჩემპიონატი) ახლავს პირმიუმართავი დამატება (ჩოგბურთში), რომელიც ქვემდებარის მეზობლად უნდა ვიხმაროთ. უნდა: ... დაიწყო სსრ კავშირის პირადგუნდური ჩემპიონატი ჩოგბურთში.

2. ამჟერად ჩვენ გვინტერესებდა ავტომოტოსპორტში საქართველოს წარმომადგენელთა შედეგები („ლიტ. გზ.“).

პირდაპირ დამატებას (შედეგები) ახლავს პირმიუმართავი დამატება (ავტომოტოსპორტში).

უნდა: ... გვინტერესებდა საქართველოს წარმომადგენელთა შედეგები ავტომოტოსპორტში.

3. ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ყურადღებას მიაქცევს თავის პოზიციებს შეხვედრებში მულენკოსთან და განსაკუთრებით მატვეევასთან („კომ.“).

პირმიუმართავ დამატებას (შეხვედრებში) თავის მხრივ ახლავს კიდევ ერთი პირმიუმართავი დამატება (ვისთან შეხვედრებში), რომელიც პირველს წინ უნდა წაუძღვეს: ... თავის პოზიციებს მულენკოსთან და განსაკუთრებით მატვეევასთან შეხვედრებში...

4. ჩილის საქმიანმა ურთიერთობამ ფართო ხასიათი მიიღო სოციალიზმის ქვეყნებთან („თბილ.“).

აქ პირმიუმართავი დამატება (ქვეყნებთან) ქვემდებარის მეზობლად უნდა გადაისვას, რადგან მასთან არის დაკავშირებული (ურთიერთობა ქვეყნებთან). წინადადებაც გაიმართება, გვექნება:

სოციალიზმის ქვეყნებთან ჩილეს საქმიანმა ურთიერთობამ ფართო ხასიათი მიიღო.

გარემოების ადგილი

ა. შესწავლილია ადგილის გარემოების პოზიცია მართი თხრობით წინადადებაში. ამ შესწავლის შედეგად მიღებული

დასკვნები საორიენტაციოდ გამოგვადგება პრესის ენაში შენიშნული სტილისტური შეცდომების გამოსასწორებლად. ამ დასკვნათა მიხედვით, ადგილის გარემოება მოკლე თხრობით წინადადებაში თავკიდურია, გრძელში კი შემასმენლის მომდევნო პოზიციას იჭერს, ხშირად წინადადების ბოლოსაცაა. ასეთ პოზიციაში იგი უპირატესად შემასმენლის უშუალო მეზობელია, მას მოსდევს (კონტაქტური პოსტპოზიცია გვაქვს) პრესაში ზოგჯერ გვხვდება ამ წესის დარღვევა, მაგალითად:

1. აღარაფერს ვამბობთ მოთამაშეთა მინდორზე ადგილის ამორჩევასა, მათ მოულოდნელ „გახსნებზე“ („ახ. კომ.“).

უნდა: აღარაფერს ვამბობთ მინდორზე მოთამაშეთა ადგილის ამორჩევის შესახებ, მათ მოულოდნელ „გახსნებზე“...

2. გუშინ სირიის ჯავშანსატანკო ნაწილებმა და არტილერიამ იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის მოწინავე ნაწილებზე ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე („კომ.“).

შემასმენლის შემდეგ მოქცეულია პირმიუმართავი დამატება და ადგილის გარემოება, თანაც ორივე -ზე თანდებულისანი, სტილი მძიმეა. აჯობებს: გუშინ ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე სირიის ჯავშანსატანკო ნაწილებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის მოწინავე ნაწილებზე.

ან: გუშინ სირიის ჯავშანსატანკო ნაწილებმა და არტილერიამ ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის მოწინავე ნაწილებზე.

3. ფიგურისტებმა უკვე ყველას გაუსწრეს და თბილისში ვადამდე ჩაატარეს შეჯიბრება („ლელო“).

აჯობებს: ფიგურისტებმა უკვე ყველას გაუსწრეს და ვადამდე ჩაატარეს თბილისში შეჯიბრება. ან: ...ვადამდე ჩაატარეს შეჯიბრება თბილისში.

4. წილისყრით მეოთხე წრეში მოჭადრაკენი ასე დაწყვილდნენ („ლელო“).

აჯობებს: წილისყრით მოჭადრაკენი ასე დაწყვილდნენ მეოთხე წრეში.

ან: წილისყრით მოჭადრაკენი მეოთხე წრეში ასე დაწყვილდნენ.

ან: მოჭადრაკენი წილისყრით ასე დაწყვილდნენ მეოთხე წრეში.

5. ამჟამად, ვოლგისპირეთის ავტოქარხანა ფართოდ იყენებს მახარაძეში მერაბიშვილის მეთოდით გამოშვებულ ერთ-ერთ პროდუქტს („კომ.“).

ადგილის გარემოება მიმღეობით გადმოცემულ მსაზღვრელს (გამოშვებულს) უკავშირდება, ამიტომ მის წინ უნდა დაისვას.

გვექნება: ამჟამად ვოლგისპირეთის ავტოქარხანა ფართოდ იყენებს მერაბიშვილის მეთოდით მახარაძეში გამოშვებულ ერთ-ერთ პროდუქტს.

მსგავსი ვითარებაა ამ წინადადებაშიც:

ყველაზე სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ მოქეიფეთა დიდი ნაწილი ამ გვიან დამით რესტორანში რაიონის საზოგადოებრივი კვების, თვით ამ რესტორნის მუშაკები იყენენ (იკომ.“).

ჯერ ერთი: დიდი ნაწილი... მუშაკები იყო. მეორეც, გვიან დამით (დროის გარემოება) და რესტორანში (ადგილის გარემოება) უნდა დაისვას მიმღეობით გადმოცემული მსაზღვრელის (მოქეიფეთა) წინ:

ყველაზე სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ ამ გვიან დამით რესტორანში მოქეიფეთა დიდი ნაწილი საზოგადოებრივი კვების, თვით ამ რესტორნის, მუშაკები იყო.

6. მეფრინველეობის ფაბრიკებში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა მდიდარი გამოცდილების წარმოებაში დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა დანახარჯები, პროდუქციის თვითღირებულება (იკომ.“).

წინადადება რთულად, მძიმედაა აგებული. რამდენიმე ერთგვარ დამატებას ადგილის გარემოება დიდი მანძილით დაუშორებია შემასმენლისაგან. თუ ადგილის გარემოებას შემასმენლის ახლოს, ვითარების გარემოების (მნიშვნელოვნად) წინ მოვათავსებთ, სტილი გაუმჯობესდება (... წარმოებაში დანერგვის შედეგად მეფრინველეობის ფაბრიკებში მნიშვნელოვნად შემცირდა დანახარჯები). მაგრამ იმისათვის, რომ დაიხვეწოს მთელი წინადადება, საჭიროა კონსტრუქციის შეცვლა, — ნაზმნარი სახელი დანერგვა ზმნის პირიანი ფორმით უნდა შეიცვალოს (დაინერგვა, დანერგეს...). გვექნება: იმის შედეგად, რომ წარმოებაში დანერგეს შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, მეცნიერების მიღწევები და მოწინავეთა მდიდარი გამოცდილებანი, მეფრინველეობის ფაბრიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა დანახარჯები.

თუ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება მთავარში ადგილის გარემოებას მიემართება, მისამართ სიტყვას წევრკავშირის უშუალო მეზობლად, მის წინ

ესვამთ ხოლმე, მაგ.: ეს გოგონა ცხოვრობს სახლში, რომელიც აქვე მეზობლადაა. მაგრამ, თუ მისამართ სიტყვას ახლავს პითითებითი ნაცვალსახელი, ე. ი. კორელატი სიტყვა (იმ სახლში), იგი ამ ნაცვალსახელის მეშვეობით მჭიდრო კონტაქტს ამყარებს დამოკიდებულ წინადადებასთან და ამის წყალობით უკვე შეიძლება თავისი ჩვეული ადგილი დაიჭიროს შემასმენლის წინ.

ეს გოგონა იმ სახლში ცხოვრობს, რომელიც აქვე მეზობლადაა.

ადგილის გარემოება შემასმენლის მეზობლად უნდა დაისვას შემდეგ წინადადებებშიც:

1. რამდენი სიხარული დახვდებათ ოჯახებს მოწყვეტილ ვაჟაკებს შინ („ახ. კომ.“).

უნდა: რამდენი სიხარული დახვდებათ შინ ოჯახებს მოწყვეტილ ვაჟაკებს.

2. აქ, რასაც უყურებთ, 1954 წ. აშენდა („კომ.“).

უნდა: რასაც აქ უყურებთ, 1954 წ. აშენდა.

ბ. დ რ ო ის გ ა რ ე მ ო ე ბ ის პოზიცია შედარებით მყარია. მარტივ თხრობით წინადადებაში დროის გარემოება უპირატესად თავკიდურია, შუა და ბოლოკიდურ პოზიციაში დროის გარემოება იშვიათად გვხვდება. იგი უსწრებს ქვემდებარესაც, შემასმენელსაც.

ამიტომ გვეჩოთირება სიტყვათა წყობა ისეთი წინადადებებისა, რომლებშიც დროის გარემოება მესამე, მეოთხე ადგილზეა გადატანილი. მაგ.:

1. ამ მხრივ სკოლაში დაგროვდა უკანასკნელ დროს სასარგებლო გამოცდილება („თბილ.“).

უნდა: ამ მხრივ უკანასკნელ დროს სკოლაში დაგროვდა სასარგებლო გამოცდილება.

ან: უკანასკნელ დროს ამ მხრივ სკოლაში დაგროვდა...

2. საბერძნეთის ჯარის საველე ფორმიანმა ნაწილებმა ოთხშაბათს დაიკავეს სალონიკში სტრატეგიული პუნქტები („კომ.“).

უნდა: ოთხშაბათს საბერძნეთის ჯარის საველე ფორმიანმა ნაწილებმა დაიკავეს სალონიკის სტრატეგიული პუნქტები.

ან: ... სტრატეგიული პუნქტები სალონიკში ოთხშაბათს დაიკავეს...

3. კიევის დინამოელებმა მე-1000 გოლი გაუშვეს თავიანთ კარში მინსკის დინამოელებთან შეხვედრაში („ლელო“).

აჯობებდა: მინსკის დინამოელებთან შეხვედრაში კიევის დინამოელებმა მე-1000 გოლი გაუშვეს...

ანდა: კიევის დინამოელებმა მინსკის დინამოელებთან შეხვედრაში მე-1000 გოლი გაუშვეს თავიანთ კარში.

გ. მიზეზის გარემოების ადგილი უპირატესად განსაზღვრულია; იგი ან თავკიდურადაა დასმული, ან ბოლოკიდურად.

ბოლოს უნდა გადავიტანოთ მიზეზის გარემოება შემდეგ წინადადებაში:

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიამ დელაროსა ნაკრების ხელმძღვანელთა სამართლიანი მოთხოვნების შეუსრულებლობისათვის სათანადოდ დასაჯა („ლელო“).

უმჯობესია: ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კოლეგიამ დელაროსა სათანადოდ დასაჯა ნაკრების ხელმძღვანელთა სამართლიანი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო.

დამოკიდებულ წინადადებაშიც სტილისტიკური თვალსაზრისით უმჯობესია მიზეზის გარემოების თავკიდურად ხმარება. მაგალითად:

ქარელის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი აცხადებს, რომ ესაჭიროება სამკერვალო საამქროში მუშა-მკერავები ორ ცვლაზე გადასვლასთან დაკავშირებით და აგრეთვე შინა მკერავები („გამარჯვ.“).

უნდა: ქარელის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი აცხადებს, რომ ორ ცვლაზე გადასვლასთან დაკავშირებით ესაჭიროება სამკერვალო საამქროში მუშა-მკერავები და აგრეთვე შინა მკერავები.

დ. ვითარების გარემოება შემასმენელთან მჭიდროდ დაკავშირებული წევრია. იგი მოქმედების რაგვარობას გამოხატავს ისევე, როგორც მსაზღვრელი სახელი საზღვრულისას. ბუნებრივია, რომ აზრობრივად ასე ახლო მყოფი წევრი პოზიციურადაც ახლოსაა შემასმენელთან. ამიტომ ვითარების გარემოების შემასმენლისაგან მოშორებით ხმარება სტილს ვნებს.

1. მათ შეუძლიათ გადაწყვიტონ რთული საბრძოლო ამოცანები სხვადასხვა-გვარი ტექნიკის გამოყენებით („კომ.“).

უნდა: მათ შეუძლიათ სხვადასხვაგვარი ტექნიკის გამოყენებით გადაწყვიტონ რთული საბრძოლო ამოცანები.

2. ბრძანებით მას გამოეცხადა მადლობა („კომ.“).

უნდა: მას ბრძანებით გამოეცხადა მადლობა.

3. ხშირად აწყობილი ელექტროძრავები საქარხნო გამოცდის შემდეგ ხელახლა დაშლა-აწყობას მოითხოვდა („კომ.“).

აჯობებს: აწყობილი ელექტროძრავები საქარხნო გამოცდის შემდეგ ხშირად ხელახლა დაშლა-აწყობას მოითხოვდა.

4. დაიცადეთ, დაიცადეთ, დაიცადეთ! — დაუძახა კინალამ მიმავალ ქალს („ცხკ.“).

უნდა: კინალამ დაუძახა... ქალს.

5. ნებისმიერი შაშხანიდან 300 მეტრზე სროლაში სამივე მდგომარეობიდან პირველობა მოიბოვა ე. ბედქიშმა („კომ.“).

აჯობებს, **შაშხანით სროლა** (ვითარების გარემოება) გადაისვას უბრალო დამატების წინ.

გვექნება: ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე სამივე მდგომარეობიდან სროლაში პირველობა მოიბოვა...

ე. ყურადღებას იქცევს რამდენიმე ერთგვარი გარემოების რიგი. ხშირად ერთ წინადადებაში ორ ერთგვარ გარემოებას ვხმარობთ, მათგან ერთი უფრო ზოგადი შინაარსისაა, მეორე — უფრო კონკრეტულისა, ასეთ შემთხვევაში უმჯობესია ჯერ ზოგადი შინაარსის გარემოება ვხმაროთ, მერე კი კონკრეტული შინაარსისა. თუ ეს წესი ირღვევა, სტილი არ ვარგა. მაგალითად:

1. ბაზარში კანადაში ყოველდღე იყიდება 2.000 ტონაზე მეტი თევზი („სოფლცხოვრ.“).

ბაზარი უფრო კონკრეტული პუნქტის აღმნიშვნელია, **კანადა** — უფრო ზოგადისა. ამიტომ აჯობებს სიტყვათა ასეთი დალაგება: კანადაში, ბაზარში ყოველდღე იყიდება... ან კანადის ბაზარზე ყოველდღე იყიდება...

2. სახაზე დაფებზე საკონსტრუქტორო ბიუროში უკვე მოჩანს... ტურბინის მოხაზულობა („კომ.“).

უნდა: საკონსტრუქტორო ბიუროში, სახაზე დაფებზე უკვე მოჩანს... ტურბინის მოხაზულობა.

3. თუ წინადადებაში სხვადასხვა სახის რამდენიმე გარემოება გვაქვს, უნდა დავიცვათ ქართულისათვის ჩვეულებრივი და ბუნებრივი რიგი. იგი ასეთია:

„თუ შემასმენელს სამივე სახის გარემოება ახლავს, ჩვეულებრივი, ე. ი. ბუნებრივი დალაგება იქნება: დროის გარემოება + ადგილის გარემოება + ვითარების გარემოება + შემასმენელი: გუშინ ტყეში ძალიან ბნელოდა. შეიძლება პირველი ადგილი ადგილის გარემოებამ დაიკავოს, მერე — დროისამ: ტყეში გუშინ ძალიან ბნელოდა“¹⁰.

ჩვენს საანალიზო მასალაში გვხვდება წინადადება, რომლის დასაწყისში სამი გარემოება ასეა დალაგებული:

ვენაში საგასტროლოდ ივლისში ჩავა ლენინგრადის კიროვის სახელობის თეატრი („თბილ.“).

სიტყვათგანლაგება ამ წინადადებაში ვერ არის მარჯვე (ადგილის გარემოება + მიზნის გარემოება + დროის გარემოება). აჯობებს, რომ პირველ ადგილას დაისვას დროის გარემოება, შემდეგ — ადგილისა და ბოლოს — შემასმენლის უშუალო მეზობლობაში — მიზნის გარემოება. გვექნება:

ივლისში ვენაში საგასტროლოდ ჩავა...

ზ. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში საკმაოდ ხშირად გვხვდება ისეთი წინადადებები, სადაც შესაცვლელია არა მარტო ერთი რომელიმე წევრის ადგილი, არამედ გადასასმელ-გადმოსასმელია რამდენიმე წევრი (ზოგჯერ რთული წინადადების ნაწილებიც კი) თავისი ამხსნელებიანად.

1. საიგონმა, განაგრძობს სააგენტო, მას შემდეგ, რაც იგი ჩინეთმა განდევნა პარასელის კუნძულებიდან ორი დღის ომის შემდეგ ნახევარი თვის წინათ სპრატლის კუნძულების მიმართულებით გაგზავნა გასულ კვირაში ორი სამხედრო ხომალდი („კომ.“).

რომ აზრი ნათელი, ადვილად მისაწვდომი გახდეს, ამ წინადადების რამდენიმე ნაწილი ინდა გადაჯგუფდეს. წინადადება ასეთ სახეს მიიღებს:

საიგონმა — განაგრძობს სააგენტო — მას შემდეგ, რაც იგი ნახევარი თვის წინათ ჩინეთმა ორი დღის ომის შემდეგ განდევნა პარასელის კუნძულებიდან, გასულ კვირაში სპრატლის კუნძულების მიმართულებით გაგზავნა ორი სამხედრო ხომალდი.

¹⁰ ლ. კვ აჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, 1966, გვ. 217.

კიდევ უფრო მოიგებს სტატია, თუ ასეთი რთული წინადადება დაიშლება:

საიგონმა გასულ კვირაში სპრატლის კუნძულების მიმართულე-ბით გაგზავნა ორი სამხედრო ხომალდი, ეს მას შემდეგ, რაც ნახევარი თვის წინათ ჩინეთმა ორი დღის ომის შედეგად განდევნა იგი პარასელის კუნძულებიდან.

2. არ იქნას დაშვებული შხაქიმიატების ნარჩენი რაოდენობის შერევა საკვებ პროდუქტებში განსაზღვრულ ნორმაზე მეტი („ახ. ცხოვრ.“).

უნდა: არ იქნეს დაშვებული საკვებ პროდუქტებში განსაზღვრულ ნორმაზე მეტი შხაქიმიატების ნარჩენი რაოდენობის შერევა.

რამდენიმე არაერთგვარი მსაზღვრელის რიგი

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში საკმაოდ მწვავედ დგას სიტყვათა დალაგების საკითხი ისეთ შემთხვევებში, როდესაც ერთ საზღვრულთან ორი ან რამდენიმე მსაზღვრელია დაკავშირებული. ჩვენი პრესისა თუ მხატვრული ლიტერატურის ენაში ძალიან ხშირად გვხვდება სხვადასხვაგვარად დალაგებული მსაზღვრელები:

ორი ოქროს მედალი	და	ოქროს ორი მედალი
მაღალი ხის კიბე	და	ხის მაღალი კიბე
ახალი ვერცხლის კოვზი	და	ვერცხლის ახალი კოვზი
მსუქანი ძროხის ბეჭი	და	ძროხის მსუქანი ბეჭი
ვეება ღვინის კასრი	და	ღვინის ვეება კასრი
პატარა იალქნიანი ნაგი	და	იალქნიანი პატარა ნაგი
პირმოტეხილი სპილენძის თუნგი	და	სპილენძის პირმოტეხილი თუნგი

რომელი მათგანია უმჯობესი წყობა თანამედროვე სალიტერატურო ენის თვალსაზრისით?

საკითხის საგანგებოდ შესწავლის შედეგად მიღებულია ზოგი დასკვნა. ამ დასკვნათაგან შევეჩებით მხოლოდ მათ, რომელთა დარღვევებიც გვხვდება ჩვენი პრესის ენაში.

ა. როდესაც ორ არაერთგვარ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი არის რიცხვითი სახელი (ერთი, ორი... ბევრი, მრავალი...), მეორე კი — ზედსართავი ან მართული მსაზღვრელი, სულერთი როდია, როგორ დავალაგებთ ამ მსაზღვრელებს:

ორი კარგი სიტყვა
ბევრი საბავშვო წიგნი

თუ კარგი ორი სიტყვა
საბავშვო ბევრი წიგნი...

რიცხვითი სახელი პირველ ადგილზე ისმის (ორი კარგი წიგნი, ორი ქვის სახლი...), თუ ის შესიტყვება, რომელსაც ეს მსაზღვრელი დაერთვის, არ გამოხატავს კუთვნილებას. ხოლო თუ კუთვნილება გადმოიცემა (ამხანაგის წიგნი, სახლის ფანჯარა), მაშინ რიცხვითი სახელით გადმოცემული განსაზღვრება მეორე ადგილზე ჩაისმის (ამხანაგის ორი წიგნი, სახლის სამი ფანჯარა...). ამის მიხედვით გასასწორებელია სიტყვათა დალაგება შემდეგ წინადადებებში:

1. ახლა იგი უწევდა მამობას პატარა ცხრა და-ძმას („სოფლ. ცხოვრ.“).

უნდა: ცხრა პატარა და-ძმას.

2. საკმარისია მოვიგონოთ მის მიერ ბრწყინვალედ გაფორმებული ქართული ხალხური ზღაპრები... სხვა ბევრი წიგნიც ჰქონდა დასურათებული („ლიტ. საქ.“).

უნდა: ბევრი სხვა წიგნიც.

3. ასეთი ფაქტების მოყვანა ბევრი შეიძლება („თბილ.“).

თუ ასეთ სიტყვათგანლაგებას დავტოვებთ, უნდა ვთქვათ: ასეთი ფაქტების მოყვანა ბევრისა შეიძლება. ან არა და უნდა შეიცვალოს სიტყვათა რიგი, ბევრი წინ უნდა გადმოისვას და გვექნება:

ბევრი ასეთი ფაქტის მოყვანა შეიძლება.

ბ. თუ არაერთგვარ მსაზღვრელთაგან ერთ-ერთი ნაცვალსახელია, პირველ ადგილს ყოველთვის ეს ნაცვალსახელი იჭერს, მისი მეორე ადგილზე გადასმა შეცდომაა.

უნდა: ეს საშვილიშვილო საქმე და არა: საშვილიშვილო ეს საქმე; ეს ჩვენი დროის გმირები და არა: ჩვენი დროის ეს გმირები...

ამიტომ მსაზღვრელთა რიგი შესაცვლელია შემდეგ შემთხვევებში:

1. ყველა ხალხისათვის სამამულიშვილო ამ საქმეს მან განსაკუთრებული ღვაწლი დასდო („კომ.“).

უნდა: ამ სამამულიშვილო საქმეს.

2. ვინ იცის, სიცოცხლით სავსე ამ ჰაბუკს... „ბრწყინვალე საზოგადოებაში“ ყოფნა ეხალისებოდა („ლიტ. საქ.“).

უნდა: ამ სიცოცხლით სავსე ჭაბუკს.

3. სასამართლოები მტკიცედ არ ებრძვიან აგრეთვე გავრცელებულ ისეთ დანაშაულებს, როგორცაა მყიდველთა მოტყუება ზომამი, წონასა და ანგარიშში („კომ.“).

უნდა: ისეთ გავრცელებულ დანაშაულებს...

4. პროფტექნიკური სასწავლებლის I კურსის მოსწავლე ისეთ საქმიანობაში შეიძლება ჩაებათ, რომელიც მას გარკვეულ პასუხისმგებლობას დააკისრებს არა მარტო თავისი, არამედ უცხო კოლექტივის წინაშეც. ამით დაკმაყოფილდება უფროსებთან მისი გათანაბრების მისწრაფება („სკ. და ცხოვრ.“).

უნდა: მისი უფროსებთან გათანაბრების მისწრაფება.

ან: მისი მისწრაფება უფროსებთან გათანაბრებისა...

5. როგორც კაბინეტის ყველა თეორეტიკოსი, უწყალოდ შეეცდი („მნათ.“).

უნდა: ყველა კაბინეტის თეორეტიკოსი.

6. და განა, მართლაც, არ შეიძლება უფრო ხშირად მოედოდეთ ჩვენი დროის ამ გმირებთან („ლიტ. საქ.“).

უნდა: ამ ჩვენი დროის გმირებთან.

7. რაჭა ღარიბი კუთხეა და ხალხიც იმიტომ გარბისო რაიონიდან, — ხშირად გამოვიონია თავის ასეთი მართლება ძველი ხელმძღვანელებისაგან („ლიტ. საქ.“).

უნდა: ასეთი თავის მართლება.

გ. თ უ ო რ ი ვ ე მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ა (ან მიმღეობა), — ერთი ვითარებითი, მეორე მიმართებითი, — პირველ ადგილზე ვითარებითი ზედსართავი (ან მიმღეობა) დგება, მეორეზე — მიმართებითი (მაგ.: დიდი იალქნიანი ნავი, ახალი რესპუბლიკური რეკორდი, ძველი იბერიული მოსახლეობა...). ამიტომ მსაზღვრელთა რიგი უნდა შეიცვალოს:

მივაბიჯებდით... უმწიკვლო, მუხლებამდე მომდგარ თოვლზე („მნათ.“).

უნდა: მუხლებამდე მომდგარ, უმწიკვლო თოვლზე.

თუ ორივე მსაზღვრელად მიმართებითი ზედსართავია, მეორე ადგილზე, უპირატესად, -ურ სუფიქსით ნაწარმოები ზედსართავი დგება (სახელოვანი ისტორიული მოღვაწე...).

ამ დებულების ძალით გასასწორებელია სიტყვათდალაგება შემდეგ წინადადებაში:

ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ქუთაისისა და რუმინეთის ფეხბურთელთა შორის პირველივე წუთებიდან დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა („ლელო“).

უნდა: საერთაშორისო ამხანაგური მატჩი...

გადასასმელია მხაზღვრელები შემდეგ წინადადებაშიც:

საიუბილეო წელს საექსკურსიო უფასო საგზურებით თბილისში გაემგზავრა 100 კოლმეურნე („კომ.“).

უნდა: უფასო საექსკურსიო საგზურებით...

დ. თუ მსაზღვრელთაგან ერთი შეთანხმებულად და მეორე მართული (დიდი ოქროს საათი), სიტყვათა დალაგებას განსაზღვრავს მართულმსაზღვრელიანი შესიტყვების შინაარსი (ოქროს საათი — რისია საათი? — მასალაზეა მიითვება; ჩაის ჭიქა — რა დანიშნულებისაა ჭიქა? — დანიშნულებაზეა მიითვება, წყაროს წყალი — წარმომავლობას გვიჩვენებს, ამხანაგის სახლი — კუთვნილებაა და ა. შ.): თუ შესიტყვების ერთი მსაზღვრელი გამოხატავს მასალას, წარმომავლობას ან დანიშნულებას, ის გაუთიშავია და მეორე, ატრიბუტულ, მსაზღვრელს წინ დაისვამს (დიდი ოქროს საათი, ლამაზი ჩაის ჭიქა, ცივი წყაროს წყალი), ხოლო თუ შესიტყვება კუთვნილებას გამოხატავს, ის ითიშება და ატრიბუტულ მსაზღვრელს შუაში ჩაისვამს (ამხანაგის ახალი სახლი, ბავშვის ახალი ტანსაცმელი, ქისტების პატარა სოფელი...).

ამ დებულების შესაბამისად შესიტყვებას ოქროს მედალი შეთანხმებული მსაზღვრელები (მესამე, ორი...) წინ უნდა დაუერთოთ. ამ მსაზღვრელთა მეორე ადგილზე დასმა შეცდომაა. ე. ი. ვასასწორებელია შემდეგი წინადადებები:

1. ეს საბჭოთა სპორტსმენების ოქროს მესამე მედალია („კომ.“).

უნდა: ... მესამე ოქროს მედალია...

2. მოსკოვის ნაკრებს უკვე ოქროს ორი მედალი აქვს („ლელო“).

უნდა: ორი ოქროს მედალი.

3. საქართველოს ნაკრებმა ოქროს მესამე მედალი მოიხვეჭა („ლელო“).

უნდა: მესამე ოქროს მედალი.

4. უკრაინის გუნდსაც ოქროს 2 მედალი დაუგროვდა („ლელო“).

უნდა: ორი ოქროს მედალი.

5. დავით რიგერტმა საბჭოთა გუნდს ოქროს მეოთხე მედალი მოუტანა („კომ.“).

უნდა: მეოთხე ოქროს მედალი.

წარმომავლობის შინაარსს შეიცავს გამოთქმა **ბენზინის სუნი, ცხვრის ბარკალი...**

ამიტომ მათი გათიშვა და შეთანხმებულ მსაზღვრელის ჩასმა მეორე ადგილზე უმართებულოა.

1. — ისე გაჯახილებულად მოდიოდა, ვიცოდი, გზაზე დაგვტოვებდა, — ბანზე აუგლო სიტყვა შოთამ.

— მერე ბენზინის როგორი სუნი იდგა შიგ („დროშა“).

უნდა: ... როგორი ბენზინის სუნი იდგა შიგ.

ხურჩინში... ეწყო ცხვრის მოხარშული ბარკალი, მშრალი ყაურმა, ძალიან გემრიელი თაღნი პური... („მნათ.“).

უნდა: მოხარშული ცხვრის ბარკალი (შდრ.: **შემწვარი გოჭის თავი, მოხარშული ძროხის ბეჭი, შემწვარი ძროხის სუკები და არა: გოჭის შემწვარი თავი, ძროხის მოხარშული ბეჭი...**).

თანამიმდევრობა რომ დაეცვა, **ცხვრის მოხარშული ბარკალი**-ს დამწერს უნდა დაეწერა **თაღნი გემრიელი პური** (ან **ცხვრის მშრალი ყაურმა**).

ასევე მყარია გამონათქვამი: **რცხილის ხე, ვაშლის ხე, თუთის ხე...** ამიტომ უნდა ვთქვათ და ვწეროთ: **ახალგაზრდა რცხილის ხე** და არა რცხილის **ახალგაზრდა ხე**. (უფრო სწორია რცხილა, ისევე, როგორც მუხა და არა მუხის ხე, თელა და არა თელის ხე...).

ამოდენა რცხილის ახალგაზრდა ხეები გაგინადგურებია („საქ. ბუნ.“).

უნდა იყოს: ამოდენა ახალგაზრდა რცხილა გაგინადგურებია.

ე. კუთვნილების ნიუანსის მქონე შესიტყვებები არაა მყარი, ითიშება და ახალი მსაზღვრელი მეორე ადგილზე ჩაისმის. მაგ.: **მოსწავლეთა კონფერენცია, წარმოების მუშაკი, აღმასკომის თავმჯდომარე, სიცოცხლის წლები, წრის მეცადინეობა, ტყის მრეწველობის მეურნეობა...**

ამ დებულებას თუ გავიზიარებთ, უნდა გასწორდეს სიტყვათ-განლაგება შემდეგ წინადადებებში:

1. სახელმწიფო სახსრების დანიაებაში მცირე როლი როდი შეაჩუღეს დაუღვერობით... ყოფიღმა გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ... („სოფლ. ცხოვრ.“).

უნდა: გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის ყოფიღმა თავმჯდომარემ...

2. მომღვენო წრის მეცადინეობაზე გაზეთიდან დავამღშვეთ.. მოთბრობა („უე სკოლაში“).

უნდა: წრის მომღვენო მეცადინეობაზე;

3. თავისი საუკეთესო სიცოცხლის წლები შვილის აღზრდას შეაღია („სოფლ. ცხოვრ.“).

უნდა: თავისი სიცოცხლის საუკეთესო წლები.

4. მოწინავე წარმოების მღშაკთა მიმართვა... ყველა მშრომელისადმი („კომ.“).

უნდა: წარმოების მოწინავე მღშაკთა მიმართვა.

5. XXIX რესპუბლიკურ მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენციის მღშობაში მიიღებენ მონაწილეობას („სახ. გან.“).

ძირითადი შესიტყვებაა: მოსწავლეთა კონფერენცია, მას ემატება კიღვე სამი მსაზღვრელი: XXIX, რესპუბლიკური და შემოქმედებითი; როგორ უნდა დაღაგდეს ეს ოთხი მსაზღვრელი?

მოსწავლეთა კონფერენცია კუთვნილების ნიუანსის შემცველი შესიტყვებაა. ის გაითიშება და შუაში ჩაისვამს ახალ მსაზღვრელებს:

მოსწავლეთა XXIX შემოქმედებითი რესპუბლიკური კონფერენცია.

6. ჩატარდა სამი მოსწავლეთა სასკოლო კონფერენცია („უე სკოლა“).

უნდა: მოსწავლეთა სამი სასკოლო კონფერენცია.

მსაზღვრელთა სიუხვე

(დახვავებული მსაზღვრელები)

ზოგჯერ ერთ მსაზღვრულთან თავმოყრიღია არაერთგვარი მსაზღვრელები, რომელთაგან რამდენიმე მაინც ნათესაობით ბრუნვაშია დასმული. ასეთი წინადადება სტილისტიკურად მძიმეა, მსაზღვრელ-

თა რიგის შეცვლა საქმეს ვერ შევლის და მთელი წინადადების კონსტრუქციის შეცვლა ხდება საჭირო, რომ აზრი ნათლად და მარტივად იქნეს გადმოცემული. მხედველობაში გვაქვს ასეთი წინადადებები:

ფაბრიკა გამოუშვებს 16 ათას ბავშვის ხუთი მოდელის ქუდსა და შარფს („ახ. კომ.“).

ფაბრიკის კოლექტივმა აითვისა დრაფის ქალის ზამთრის პალტოების კერვა („წინსვლა“).

დამთავრდა საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებათა სპარტაკადის პროგრამაში შემავალი შვილდოსანთა შეჯიბრება („კომ.“).

პირველ წინადადებაში ერთ საზღვრულს (ქუდსა და შარფს) ახლავს სამი დამოუკიდებელი მსაზღვრელი: 16 ათას ქუდსა და შარფს; ბავშვის ქუდსა და შარფს; ხუთი მოდელის ქუდსა და შარფს.

შესაძლოა პირველი მსაზღვრელის (16 ათას) ბოლოს გადატანით სტილი რამდენადმე გაუმჯობესდეს:

ფაბრიკა გამოუშვებს ბავშვის ხუთი მოდელის 16 ათას ქუდსა და შარფს.

მაგრამ აჯობებს წინადადების კონსტრუქციის შეცვლა:

ფაბრიკა გამოუშვებს ბავშვის 16 ათას ქუდსა და შარფს 5 მოდელისას.

ან: ფაბრიკა გამოუშვებს ხუთი მოდელის 16 ათას ქუდსა და შარფს ბავშვებისათვის.

მეორე წინადადებაში საზღვრული პალტოებს განსაზღვრულია ნათესაობითში დასმული 3 სახელით (დრაფის, ქალის, ზამთრის) ამ მსაზღვრელთა არცერთნაირი დაჯგუფება საქმეს არ უშველის (ქალის დრაფის ზამთრის პალტო; ზამთრის ქალის დრაფის პალტო; ქალის ზამთრის დრაფის პალტო...). საჭიროა ან ერთ-ერთ მსაზღვრელს შეეღიონ, ან: **ზამთრის შეიძლება შევცვალოთ საზამთრო**-თი და გვექნება: ფაბრიკის კოლექტივმა აითვისა ქალის დრაფის საზამთრო პალტოების კერვა.

კიდევ უფრო ნაკლებ გვეხმარება სიტყვათა რიგის შეცვლა ისეთი წინადადების გამართვაში, სადაც რამდენიმე მსაზღვრელია და მათ შორის მიმღეობაც ურევია. მაგალითად:

1. უკან რომ ვბრუნდებოდი, ვესტიბულში თავისი ოთახიდან გამოსული საავადმყოფოს ხანშიშესული ცხვირწითელა მომმარაგებელი დავინახე („ლიტ. საქ.“).

მსაზღვრელთა გადალაგება აქ არსებითად ვერაფერს შეცვლის. შეიძლებოდა ასე დალაგება წინადადებისა:

... ეესტიბიულში დავინახე თავისი ოთახიდან გამოსული საავად-
მყოფოს მომმარაგებელი, ხანში შესული, ცხვირწითელა კაცი.

ან: ... დავინახე ოთახიდან გამოსული ხანში შესული ცხვირ-
წითელა კაცი — საავადმყოფოს მომმარაგებელი.

მაგრამ საქმეს არც ამითი ეშველა, სტილი კვლავ ვერაა უნაკლო.
მიმღეობიანი კონსტრუქცია ართულებს საქმეს. უმჯობესაა, მიმღეო-
ბის ნაცვლად (**გამოსული**) ზმნის პირიანი ფორმა ვიხმაროთ, შეცვალ-
ოთ წინადადების აგებულება:

... დავინახე საავადმყოფოს ხანშიშესული ცხვირწითელა მომ-
მარაგებელი, რომელიც თავისი ოთახიდან გამოსულიყო (თუ გამო-
ვიდა).

2. მის პირად ანგარიშზე იყო მოწინააღმდეგის განადგურებული სამი ტანკი
და ათეულობით ჰიტლერელი („ლიტ. საქ.“).

ერთ სახელს სამი განსაზღვრება ახლავს (**სამი ტანკი, განადგუ-
რებული ტანკი, მოწინააღმდეგის ტანკი**), როგორც უნდა დავალა-
გოთ ეს მსაზღვრელები (სამი განადგურებული მოწინააღმდეგის...,
მოწინააღმდეგის სამი განადგურებული ტანკი, განადგურებული მო-
წინააღმდეგის სამი ტანკი...), ქართულ, გამართულ წინადადებას
შინც ვერ მივიღებთ. ქართულად არ ჟღერს გამონათქვამიც: „მის
პირად ანგარიშზე იყო“.

აჯობებდა: მას უკვე გაენადგურებინა ათეულობით ჰიტლერელი
და მოწინააღმდეგის სამი ტანკი.

მიმღეობის ნაცვლად ზმნის ხმარება ჯობია შემდეგ წინადადე-
ბაში:

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა საქართველოს პროფკავ-
შირთა სპორტსაზოგადოებათა სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი შეილდოსანთა
შეჯიბრება („კომ.“).

ამ წინადადებაში არაერთი რამაა გასასწორებელი: **პროფკავში-
რების საზოგადოებათა** (და არა პროფკავშირთა საზოგადოებათა)
მშვილდოსანი (და არა შეილდოსანი). **შეჯიბრება, რომელიც შე-
დიოდა... პროგრამაში** (და არა: პროგრამაში შემავალი შეჯიბრება).
ე. ი. წინადადება ასე უნდა გაიმართოს:

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა მშვილ-
დოსანთა შეჯიბრება, რომელიც შედიოდა საქართველოს პროფკავ-
შირების სპორტსაზოგადოებათა პროგრამაში.

კიდევ ერთი ნიმუში, სადაც ჟურნალისტს უცდია, რაც შეიძლე-
ბა მეტი ინფორმაცია ჩაეტია ერთ წინადადებაში:

აკადემიურ ნიზოსნობაში უძლიერესი საბჭოთა ოსტატი ქალების ნაგები უკვე რამდენიმე დღეა ავტომობილებზე „ამხედრებულან“ („ლელო“).

ქვემდებარის განსაზღვრებას (ქალების) ახლავს მსაზღვრელი (ოსტატი ქალების), ამ მსაზღვრელს თავის მხრივ ახლავს კიდევ ამხსნელი, ხოლო ამ ამხსნელს თავისი ამხსნელი... (საბჭოთა ოსტატი; უძლიერესი ოსტატი, ნიზოსნობაში უძლიერესი, აკადემიურ ნიზოსნობაში). ამხსნელთა ასეთი რთული ჯაჭვი მოქნილობას უკარგავს ფრაზას, აზრი ძნელად გასაგებია ამდენ ამხსნელთა გამო. მხოლოდ ორი მსაზღვრელი ასატანი იქნებოდა (უძლიერესი ოსტატი ქალების ნაგები). თუ ყველა ამხსნელს დავტოვებთ, უმჯობესი იქნება ერთ-ერთი მსაზღვრელი (უძლიერესი) დამოკიდებული წინადადების სახით წარმოვადგინოთ; მთელი წინადადების კონსტრუქცია შეიცვლება ასე:

უკვე რამდენიმე დღეა ავტომობილებზე „ამხედრებულან“ ნაგები საბჭოთა ოსტატი ქალებისა, რომლებიც აკადემიურ ნიზოსნობაში უძლიერესნი არიან (ან: აღმოჩნდნენ).

რთულადაა აგებული შემდეგი წინადადებაც;

გუშინ დინამოელებმა წლეულს პირველი ორმხრივი თამაში ჩაატარეს თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე — დილოში („ლელო“).

ე. ი. სურთ გვითხრან, რომ დინამოელებმა ჩაატარეს ორმხრივი თამაში, რომ ეს ორმხრივი თამაში პირველია და რომ ეს პირველია ამ წელიწადში, წლეულს. მაგრამ სიტყვათშეხამება წლეულს პირველი ორმხრივი თამაში მთლად ნათელი და გამართული არ გამოდის, აჯობებს წელს პირველად ან სხვ. სხვა წევრთა დალაგებაც ვერ არის მოსაწონი ამ წინადადებებში:

გვაქვს: ის ჩაატარეს იქ. აჯობებს: იქ ჩაატარეს ის, ე. ი. მთელი წინადადება ასე გაიმართება:

გუშინ დილოში დინამოელებმა თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე წელს პირველად ჩაატარეს ორმხრივი თამაში.

ან: ... გუშინ დინამოელებმა დილოში, თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე ჩაატარეს პირველ ორმხრივი თამაში ამ წელს.

ან: დილოში თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე დინამოელებმა წელს პირველად ჩაატარეს ორმხრივი თამაში.

ან: გუშინ დილოში თავიანთ საწვრთნელ ბაზაზე დინამოელებმა ჩაატარეს პირველი ორმხრივი თამაში ამ წელს.

სიტყვათა რიგი გასამართავია შემდეგ წინადადებაშიც:

ალექსანდრე მედვედევი ოცი წლის მანამდე უცნობ მოჭიდავეს ელგუჯა გოცირიძეს ხვდებოდა („ლელო“).

დამატებას (ელგუჯა გოცირიძეს) ახლავს, პროფესიის თუ ხელობის აღმნიშვნელი ამხსნელი (მოჭიდავე), ამას კი, თავის მხრივ, თავისი ამხსნელი უძღვის (უცნობი) და ამასაც — თავისი ამხსნელი (მანამდე უცნობი). იმავე დამატების ამხსნელია ოცი წლის ელგუჯა გოცირიძეს. ისე რომ, ერთ დამატებას წინ უძღვის ორი მსაზღვრელი თავისი ამხსნელებითურთ. ვერ ვიტყვით, რომ სტილი დახვეწილი იყოს. აჯობებდა შემასმენლის წინ გადასმა, თანაც მსაზღვრელის ოცი წლის უშუალოდ საზღვრულის წინ დასმა. გვექნებოდა: ალექსანდრე მედვედევი ხვდებოდა მანამდე უცნობ მოჭიდავეს — ოცი წლის ელგუჯა გოცირიძეს.

ზემოთ ყურადღება შევაჩერეთ შემდეგი წინადადების კონსტრუქციაზე:

დებულებაში განსაზღვრულია, თუ ამხანაგურ სასამართლოს რა სახის შრომის დისციპლინის დარღვევების კატეგორიის საქმეების განხილვა შეუძლია („გამარჯვ.“).

ამ წინადადებას მეტისმეტად ამძიმებს ერთმანეთის მიყოლებით 6 ნათესაობითი ბრუნვის ფორმის თავმოყრა (რა სახის შრომის დისციპლინის დარღვევების კატეგორიის საქმეების განხილვა). მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს ნათესაობითის ფორმათა ასეთი თავმოყრაც:

... განაცხადა ჯესიკა სმიტმა, ჟურნალ „ნიუ იორლდ რევიუს“ რედაქტორმა და ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ეროვნული საბჭოს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ („კომ.“).

ამხსნელებიანი ერთგვარი წევრების დალაგება შერწყმულ წინადადებაში

პრესის ენაში გვხვდება შერწყმული წინადადებები, სადაც ერთგვარ წევრთაგან პირველს ახლავს ვრცელი ამხსნელი (ზოგჯერ დამოკიდებული წინადადებაც), ხოლო მომდევნო წევრი უფრო მარტივადაა წარმოდგენილი — ან ამხსნელის გარეშე, ან ერთი ამხსნელით.

1. გაცნობებთ, რომ ცხოველების ჩამბარებლებმა ცხოველის ჩამბარებისას უნდა წარმოადგინონ ცნობა პირუტყვის საკუთრების შესახებ, სასოფლო ან საქალაქო საბჭოს მიერ გაცემული და ვეტქიმის მოწმობა („ქიათ. მაღ.“).

ცნობა და მოწმობა ერთგვარი დამატებებია. პირველ მათგანს ახლავს ამხსნელი სიტყვები: პირუტყვის საკუთრების შესახებ, სასოფლო ან საქალაქო საბჭოს მიერ გაცემული, ხოლო მეორეს — ერთი მსაზღვრელი: ვეტეჟიმის. წინადადება სტილისტიკურად საგრძნობლად დაიხვეწება, თუ ამ ერთგვარ წევრთაგან პირველად იმ წევრს ვიხმართ, რომელსაც ცოტა ამხსნელი სიტყვა ახლავს და მეორე ადგილას იმას დავსვამთ, რომელსაც ბევრი ამხსნელი აქვს. რამდენიმე ამხსნელიანი წევრის წინ დასმა მას მეორე წევრს აშორებს და მათ შორის კავშირს ასუსტებს. თანაც ამ წინადადებაში განკერძოებული განსაზღვრება ჩვეულებრივ წინ წამძღვარებულ განსაზღვრებად უფრო ბუნებრივად გამოიყურება, ამის მიხედვით გვექნება:

... უნდა წარმოადგინონ ვეტეჟიმის მოწმობა და სასოფლო ან საქალაქო საბჭოს მიერ გაცემული ცნობა პირუტყვის საკუთრების შესახებ.

2. აღნიშნულ მატჩში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდა“ რედაქციამ დააწესა სპეციალური პრიზები მოთამაშისათვის, რომელიც გაიტანდა პირველ ბურთს და საუკეთესო მეკარისათვის („ლელო“).

ერთგვარი დამატებებია: მოთამაშისათვის და მეკარისათვის. პირველ მათგანს ამხსნელად მთელი წინადადება ახლავს (რომელიც გაიტანდა პირველ ბურთს), მეორეს კი ერთი სიტყვა (საუკეთესო). ამ მეორე წევრის წინ გადასმა აგვაცილებდა ერთგვარ წევრთა დაშორებას მთელი წინადადებით, ე. ი. აჯობებდა ასე: რედაქციამ დააწესა სპეციალური პრიზები საუკეთესო მეკარისათვის და იმ მოთამაშისათვის, რომელიც გაიტანდა პირველ ბურთს.

ორმაგი უარყოფა

ახალ სალიტერატურო ქართულში ორმაგი უარყოფა ფაქტია (არხად არ არის). ზოგჯერ ეს ფაქტი რუსულის გავლენად მიაჩნიათ, რაც არ არის მართალი. თუმცა, ძველ ქართულში მხოლოდ ერთმაგი უარყოფა იხმარებოდა. მაგ.: არა აქუნდა მათ ცული და წერაქვი; არცა სხუად ეგჭვითარი სავმარი (ხანძთ.), არარად ჰქმენ (წამ. შუშ.).

მაგრამ X—XI საუკუნეებიდან უკვე გვხვდება ორმაგი უარყოფა (მის გავრცელებას ხელი შეუწყო საერო პოეზიის წარმოშობამაც). იგი კილოებიდან უნდა შემოსულიყო სალიტერატურო ენაში. მისი გავრცელება შეაპირობა ერთი მხრით, უარყოფის გაძლიერების საჭიროებამ, ხოლო, მეორე მხრით, სინტაქსურმა კონსტრუქციამ: ერთი უარყოფითი ნაწილაკი, ქვემდებარის ან სხვა წევრის წინ დას-

მული, შორს აღმოჩნდა შემასმენლისაგან, რომელთანაცაა დაკავშირებული უარყოფა და ამიტომ საჭირო გახდა მეორე უარყოფითი ნაწილაკის ხმარება შემასმენლის ახლოს.

„სხვადასხვა სინტაქსურ კომბინაციებში, განსაკუთრებით რთულს წინადადებაში, სადაც უარყოფით ნაცვალსახელ-ზმნისზედასა და შემასმენელს შორის რამდენიმე სიტყვაა ჩართული, იქსაქსებოდა უარყოფითობის ძალა, ამიტომ საჭირო ხდებოდა მეორე უარყოფითი ნაწილაკის შემასმენელთან მიშველიება, როგორც მაგ.: არას ღონით სიტყვას არ შეამოწმებენ („სიბრძნე-სიცრუისა“)¹¹.

ორმაგი უარყოფის გავრცელებაში ძველად გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა აგრეთვე ბერძნული ენის გავლენასაც.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში ორმაგი უარყოფა ძალიან გავრცელებულია, ამ მხრივ გარკვეული გავლენა რუსულ სალიტერატურო ენასთან ურთიერთობამაც იქონია XIX ს-დან. რუსულშიც ორმაგი უარყოფა ისევეა წარმოშობილი, როგორც ქართულში¹². მისი აკრძალვა, რა თქმა უნდა, ფიქრად არავის მოუფა ახლა. მაგრამ სტილის საკითხი კი დგება მასთან დაკავშირებით: როგორ, რა ადგილას ვიხმართ ეს ორი უარყოფა.

სტილის სიცხადის თვალსაზრისით უმჯობესი ჩანს ამ ორ უარყოფას შორის რაც შეიძლება ნაკლები წევრების მოქცევა, შემასმენელთან არა მარტო ერთი, არამედ მეორე უარყოფის მიახლოვებაც. მაგალითად:

1. ჩვენს ოჯახში არასოდეს სადილისათვის თუ სტუმრების პატივსაცემად გაშლილი სუფრა არ დამთავრებულა ისე... („ჭიათ. მაღ.“).

უმჯობესია: ჩვენს ოჯახში სადილისათვის თუ სტუმრის პატივსაცემად გაშლილი სუფრა არასოდეს არ დამთავრებულა ისე...

2. დაუჯერებელია, რომ არც ერთი მეთოდისტი შრომისა თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას არ საჭიროებდეს („საქ. ქალი“).

ამ შემთხვევაში უმჯობესია, რომ უარყოფით ნაცვალსახელდართული ქვემდებარე შემასმენლის ახლოს მოექცეს: დაუჯერებელია, რომ არც ერთი მეთოდისტი არ საჭიროებდეს შრომისა თუ საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

3. არც ერთ დირსშესანიშნავ „გასტროლენს უყურადღებოდ არ დატოვებდა („საბჭ. ხელ.“).

¹¹ ვ. თ. ო. უ. რ. ი. ა., ორმაგი უარყოფა ქართულში, წელიწადი, I—II, 1923—1924, გვ. 106.

¹² იქვე.

უმჯობესია: არც ერთ ღირსშესანიშნავ გასტროლს არ დატოვებდა უყურადღებოდ.

მყარ გამონათქვამთა გათიშვა

სიტყვათდალაგების თვალსაზრისით პრესის ენაში არაიშვიათად შეცდომები გვხვდება მყარ გამონათქვამთა გამოყენების შემთხვევაში.

ცნობილია, რომ ენაში არსებობს ისეთი სიტყვათშეხამებები, რომლებიც მზა ფორმულებს (ყალიბებს) წააგავს. მათ ამ ენობრივი კოლექტივის ყველა წევრი ერთგვარად იყენებს, ისევე როგორც ცალკეულ ლექსიკურ ერთეულს. მათი დაშლა, შემადგენელ სიტყვათა გადაჯგუფება ან მათ შორის სხვა სიტყვების ჩასმა ამ გამოთქმას ბუნებრივ ელფერს უკარგავს, სტილს აუფერულებს, აუბრალოებს, აუხეშებს. მაგალითად:

1. გამარჯვებისათვის თავი არც 3000 მეტრზე მორბენალ იუნიორებს დაუზოგავთ („ლელო“).

თავს არ დაზოგავს მყარი გამონათქვამია, მისი გათიშვა და შუაში ქვემდებარის ჩასმა თავის ამხსნელებიანად არ არის სასურველი.

უნდა ყოფილიყო: გამარჯვებისათვის თავი არ დაუზოგავთ 3000 მეტრზე მორბენალ იუნიორებსაც.

ან: არც 3000 მეტრზე მორბენალ იუნიორებს დაუზოგავთ თავი გამარჯვების მოსაპოვებლად.

ან: გამარჯვებისათვის 3000 მეტრზე მორბენალ იუნიორებსაც არ დაუზოგავთ თავი.

2. განსაკუთრებით კარგად მომზადებულად სანეევი თავს ოქტომბერში გრძნობდა („ლელო“).

თავს გრძნობს (კარგად, ცუდად...) ეს მყარი გამონათქვამი გათიშულია დროის გარემოებით. სტილი გაუმჯობესდებოდა სიტყვათა სხვაგვარი დალაგებისას: განსაკუთრებით კარგად მომზადებულად გრძნობდა თავს სანეევი ოქტომბერში.

ან: სანეევი განსაკუთრებით კარგად მომზადებულად გრძნობდა თავს ოქტომბერში.

ან: ოქტომბერში სანეევი განსაკუთრებით კარგად მომზადებულად გრძნობდა თავს.

ან კიდევ: სანევეი განსაკუთრებით კარგად მომზადებულად ოქტომბერში გრძნობდა თავს.

3. ნაწყენი ვაზის ნერგის გამოსავლიანობის გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა საღი, კონდიციურა, მომწიფებელი საძირე მასალის გამოყენებას აქვს („ახ. ცხოვრ.“).

მყარი გამონათქვამი დიდი მნიშვნელობა აქვს გათიშულია, უნდა ყოფილიყო გაუთიშავად.

ნაწილაკისა და ზმნისართის ადგილი

რომ სიტყვათგანლაგება ქართულში ნებისმიერი არ არის, ამაში ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს დაკვირვება ნაწილაკებსა და ზმნისართებზე, ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილებზე.

ნაწილაკი — მნიშვნელობის უქონელი ბგერათკომპლექსი (ან ბგერა) თუ სიტყვა — „ერთვის წინადადების წევრს, ან მთელ წინადადებას და მნიშვნელობას უცვლის მას რაიმე მხრივ“¹³.

ნაწილაკი შეიძლება შერწყმული იყოს სიტყვასთან და იწერებოდეს მასთან ერთად (-ოდე, -ლა, -ცა...), შეიძლება შეურწყმელი იყოს და იწერებოდეს ცალკე (ხოლმე, თურმე, არ, ვერ, განა...).

ნაწილაკის ადგილი წინადადებაში შეპირობებულია იმ სიტყვის ადგილით, რომელსაც ეს ნაწილაკი უკავშირდება, — იგი უშუალოდ ემეზობლება ამ სიტყვას.

ქვემოთ მოყვანილი საილუსტრაციო მასალა ერთხელ კიდევ დაგვარწმუნებს, რომ ნაწილაკის მოშორება იმ სიტყვისავე, რომელსაც იგი უკავშირდება, და სხვაგან დასმა სტილს აბუნდოვანებს.

1. სურათის დაწყებამდე თითქმის დარბაზში ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს („ტიათ. შალ.“).

ნაწილაკი „თითქმის“ აქ ქვემდებარეს (ყველაფერი) უკავშირდება: თითქმის ყველაფერი, ამიტომ მის წინ უნდა დაისვას და გვექნება: სურათის დაწყებამდე დარბაზში თითქმის ყველაფერი ნორმალურად მიმდინარეობს.

2. ფერმებში თითქმის გამოყენებული არ არის ქალის შრომა („საქ. ქალი“).

¹³ ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, გვ. 607.

აქ კი ნაწილაკი თითქმის შემასმენელთანაა დაკავშირებული; თითქმის არ არის.

ე. ი. უნდა გვქონოდა: ფერმებში თითქმის არ არის გამოყენებული ქალის შრომა.

3. ისევე ქვემდებარესთანაა დაკავშირებული ნაწილაკი შემდეგ წინადადებაში:

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის თემას თითქმის ჩვენი ქვეყნის ყველა კინოსტუდიებმა მიუძღვნეს მრავალი ფილმი („გამარჯვ.“).

(უნდა გასწორდეს შეთანხმებაც: ყველა კინოსტუდია და არა ყველა კინოსტუდიები და) მთელი წინადადება ასე გაიმართება:

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის თემას ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კინოსტუდიამ მიუძღვნა მრავალი ფილმი.

4. თავის ადგილას არ არის აგრეთვე ნაწილაკი შემდეგ წინადადებაში:

ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა აგრეთვე ქალებს ვეტერანმა კოლმეურნემ ამხ. თ. გურამიშვილმა („ივრ. განთ.“).

აგრეთვე ნაწილაკი ასეთ ნიუანსს აძლევს სიტყვას: „როგორც სხვამ, ისე ამანაც“. იგი ფუნქციურად -ც ნაწილაკს ემსგავსება. აქ უნდათ თქვან, რომ ვეტერანმა კოლმეურნემ ისევე, როგორც სხვებმა, ქალებს მიულოცა ქალთა დღე. ეს აზრი კი ნათელი იქნება და წინადადება სტილისტურად დაიხვეწება, თუ აგრეთვე ნაწილაკს ქვემდებარის წინ გადავსვამთ:

ქალთა საერთაშორისო დღე ქალებს მიულოცა აგრეთვე ვეტერანმა კოლმეურნემ...

ან: ქალებს ქალთა საერთაშორისო დღე მიულოცა აგრეთვე ვეტერანმა კოლმეურნემ...

5. მომავალში გერმანელ კოლეგებს აგრეთვე გადავცემთ ჩვენ მიერ შექმნილ ხსნარს და ორგანოების შენახვის მეთოდისას („კომ.“).

უნდა გადმოიცეს აზრი, რომ რაღაც გადასცეს და შემდგომში გადასცემენ ხსნარსაც, ე. ი. აგრეთვე ნაწილაკი აქ დამატებას (ხსნარს) უკავშირდება და მას უნდა წარვუძღვაროთ:

... კოლეგებს გადავცემთ აგრეთვე ჩვენ მიერ შექმნილ ხსნარს. ზემოაღნიშნული წესი ვრცელდება უნდა ნაწილაკის ხმარების შემთხვევაშიც. ამიტომ სტილისტიკურად დასახვეწია შემდეგი წინადადებები:

ბ. და მაინც ფანტიკურად გიყვარდეს უნდა ქაღრაკი („ახ. კომ.“).

სწორია ასეთი დალაგება: ... ფანატიკურად უნდა გიყვარდეს ჭადრაკი.

7. რატომ უნდა წარმართული გერმანია ყოფილიყო უცილობლივ გამონაკლისი („უე სკოლაში“).

სწორია: რატომ წარმართული გერმანია უნდა ყოფილიყო უცილობლივ გამონაკლისი.

8. მაგრამ ნონას უპირატესობას უნდა თანდათანობით ეჩინა თავი („დროში“).

უმჯობესია: მაგრამ ნონას უპირატესობას თანდათანობით უნდა ეჩინა თავი.

ნაწილაკთა მსგავსად ზმნისართიც უშუალოდ უნდა ემეზობლებოდეს იმ წევრს, ე. ი. ზმნას, რომელსაც იგი უქავშირდება.

გაზეთებში გვხვდება ასეთი წინადადებები:

ჯერ, სანამ შენობის გადაადგილებას დაიწყებდნენ, საჭიროა მისი „აწონა“ („კომ.“).

ჯერ დროის ზმნისართი ზმნის წინ უნდა დაისვას:

სანამ შენობის გადაადგილებას დაიწყებდნენ, ჯერ საჭიროა მისი „აწონა“.

როგორც სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, 18 ივნისისათვის სულ ბალახი თივისა და სენაეისათვის აღებული იყო 9363 ათას ჰექტარზე („ახ. ცხოვრ.“).

უნდა: ... როგორც... სამმართველო იუწყება, 18 ივნისისათვის ბალახი თივისა და სენაეისათვის აღებული იყო სულ 9363 ათას ჰექტარზე.

განკერძოებულ ამხსნელთა ადგილი

განკერძოებული განსაზღვრების ტოლფას ამხსნელ სიტყვებს, დანართს, ზოგჯერ ფრჩხილებში ვსვამთ. ფრჩხილებში ჩასმა ერთი საშუალებაა, რომ ამხსნელი სიტყვები მკვეთრად იყოს გამოყოფილი ძირითადი ნაწილისაგან და წინადადების აზრი არ გაიფანტოს.

ფრჩხილებში ჩასმული ნაწილი თავისი ბუნებით განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებაა, ამიტომ ეს ნაწილი უნდა დაისვას იმ წევრის შემდეგ, რომელსაც ხსნის. სხვა წევრთან ამ ამხსნელთა დასმა დიდად ვნებს სტილის სიცხადეს. ზოგჯერ ფრჩხილებში

მოქცეული ამხსნელი მისამართ სიტყვას უშუალოდ კი მოსდევს, მაგრამ წინადადება მაინც ცუდადაა აგებული, რადგან უხერხულადაა გაყოფილი. საჭიროა ასახსნელი წევრი ისეთ ადგილას დავსვათ, რომ მისმა ამხსნელმა უხეიროდ არ გათიშოს წინადადების წევრები. არის სხვაგვარი დარღვევებიც:

1. მაგალითად წრიული საგზატკეცილო ავტობოლა (მწვრთნელი იგორ პოლტორაკი) ავიღოთ („ლელო“).

შემასმენელი (ავიღოთ) დაშორებულია პირდაპირი დამატებისგან და საერთოდ წინადადების დანარჩენი წევრებისგანაც გამოყოფილია.

აჯობებს: მაგალითად, ავიღოთ წრიული საგზატკეცილო ავტობოლა (მწვრთნელი იგორ პოლტორაკი).

2. განსაკუთრებული წარმატება — I ადგილი ავტომრავალჭიღში (მწვრთნელი რობერტ გალუსტიანი) მოვიპოვეთ („ლელო“).

აქაც მეტისმეტად უხერხულად ჟღერს ბოლოს მოქცეული შემასმენელი და მის წინ ჩასმული მსაზღვრელი.

აჯობებს: განსაკუთრებული წარმატება — I ადგილი — მოვიპოვეთ ავტომრავალჭიღში (მწვრთნელი რობერტ გალუსტიანი).

3. მოტოკროსშიც (მწვრთნელი ელუარდ ბლინსკი) IV ადგილი დავიკავეთ („ლელო“).

უნდა: IV ადგილი დავიკავეთ მოტოკროსშიც (მწვრთნელი...).

4. კარტინგში (მწვრთნელი თეიმურაზ ხიდუშელი) IV ადგილს დავკვრდით („ლელო“).

უნდა: IV ადგილს დავკვრდით კარტინგში (მწვრთნელი...).

5. ჩატარდა... სპარტაკიადის ფინალი, რომელშიც 7 გუნდი (მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთის და შუა აზიის რესპუბლიკების) მონაწილეობდა („ლელო“).

ფრჩხილებში ჩასმულმა ნაწილმა შემასმენელი ძალზე დააშორა წინადადების დანარჩენ ნაწილს. წინადადება რიგინად გაიმართებოდა, თუ შემასმენელს დამოკიდებული წინადადების დასაწყისში, წევრ-კავშირის შემდეგ, ქვემდებარის წინ დავსვამთ:

ჩატარდა... სპარტაკიადის ფინალი, რომელშიც მონაწილეობდა 7 გუნდი. აქ შეიძლება ორი წერტილი დავსვათ და ისე ჩამოვთვა-

ლოთ მონაწილე გუნდები, ფრჩხილები საჭირო აღარ იქნება, ხოლო კონსტრუქციის დასახშავად ბოლოს ემფატიკური ხმოვნის დართვა გახდება საჭირო. გვექნება ასე:

ჩატარდა... სპარტაკიადის ფინალი, რომელშიც მონაწილეობდა 7 გუნდი: მოსკოვის, ლენინგრადის, უკრაინის, ბელორუსიის, ამიერკავკასიის, ბალტიისპირეთისა და შუა აზიის რესპუბლიკებისა.

კიდევ უფრო მწვავე ჩანს ისეთი განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების ადგილის საკითხი, რომლის მისამართი სიტყვა ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელია. მაგალითად:

1. განსაკუთრებით გულთბილად ლაპარაკობს ავტორი საბჭოთა ჯარებისა და ჩეხოსლოვაკიის კორპუსების, რომელსაც ლუდვიგ სვობოდა ხელმძღვანელობდა, ერთობლივ მოქმედებაზე („გამარჯვ.“).

წინადადება გაწყვეტილია: ბოლოს დარჩენილი ნაწილი წინ რომ გადავიტანოთ, საქმეს მაინც არ ეშველება, — სტილი ისევ ხელოვნური დარჩება:

განსაკუთრებით გულთბილად ლაპარაკობს ავტორი ერთობლივ მოქმედებაზე საბჭოთა ჯარებისა და ჩეხოსლოვაკიის კორპუსებისა, რომელსაც ლუდვიგ სვობოდა ხელმძღვანელობდა.

აზრიც რომ ნათლად გადმოიცეს და სტილიც გამართული იყოს, ერთადერთი გამოსავალი არის წინადადების დაშლა: დამოკიდებული წინადადება ცალკე უნდა გამოიყოს:

განსაკუთრებით გულთბილად ლაპარაკობს ავტორი საბჭოთა ჯარებისა და ჩეხოსლოვაკიის კორპუსების ერთობლივ მოქმედებაზე. ამ კორპუსებს ლუდვიგ სვობოდა ხელმძღვანელობდა.

2. მადნეულის მადნის კომპლექსური გამოყენებითა და... დიდი სიმძლავრის დამადნებული ზონის, რომელიც დიდი ოდენობით შეიცავს სპილენძსა და პოლიმეტალებს, ათვისებით შესანიშნავი პერსპექტივები ისახება („საქ. ეკონ.“).

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ცალკე გამოვიყოთ: მადნეულის მადნის კომპლექსური გამოყენებითა და... დიდი სიმძლავრის დამადნებული ზონის ათვისებით შესანიშნავი პერსპექტივები ისახება. ეს ზონა დიდი ოდენობით შეიცავს სპილენძსა და პოლიმეტალებს.

3. ჩაის კვირეულის დაწყება სტუმრებს აძენო რესტორან „დარიალის“, ვის გამგებლობაშიც ეს საჩაიეა, დირექტორმა გ. პატარიძემ („კომ.“).

განსაზღვრებითი დამოკიდებული აქაც ცალკე წინადადებად უნდა გამოიყოს: ჩაის კვირეულის დაწყება სტუმრებს ამცნო რესტორან „დარილის“ დირექტორმა მ. პატარიძემ. ამ რესტორნის გამგებლობაშია ეს საჩაიე.

განმაზოგადებელი სიტყვის ადგილი შერწყმულ წინადადებაში

ერთგვარი წევრებით გამოხატულ მნიშვნელობათა გამაერთიანებლად შერწყმულ წინადადებაში ხშირად ვიყენებთ განმაზოგადებელ სიტყვას. იგი ამ ერთგვარ წევრებს ან წინ უძღვის, ან უშუალოდ მოსდევს. მაგალითად:

ამას იძახდნენ სტუმრად მოწვეული ფრინველნი: ჩხიკვნი, ქერონები, წიპრიები, ნიბლიები, კაკბები, გნოლები, ღობემძვრალეები, ბოლოცეცხლები, ჭივჭავნი, კოდალები, გვრიტნი, მტრედნი და სხვა მრავალნი (ვაჟა-ფშაველა, „ჩხიკვთა ქორწილი“).

კაცი, მხეცი და ჩიტები — ყველა საქმეს ჰკიდებს ზელსა. ერთგვარი წევრებისაგან განმაზოგადებელი სიტყვის გათიშვა სასურველი არ არის.

ამიტომ უნდა გასწორდეს შემდეგი წინადადება:

ადგილების რიცხვი იზრდება რუსული ენისა და ლიტერატურის, მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიის, გამოყენებითი მათემატიკის, ზოგადტექნიკური დისციპლინებისა და შრომის, აგრეთვე სხვა სპეციალობებზე.

ამდენი ერთგვარი განსაზღვრების ჩამოთვლა განმაზოგადებელი სიტყვის გარეშე აბნევს, ფანტავს აზრს.

აჯობებს ერთგვარი წევრების განმაზოგადებელი სიტყვა „სპეციალობები“ მათ წინ დაისვას:

ადგილების რიცხვი იზრდება შემდეგ სპეციალობებზე: ენის და ლიტერატურის, მსუბუქი მრეწველობის, ტექნოლოგიის, გამოყენებითი მათემატიკის, ზოგადტექნიკური დისციპლინების, შრომისა და სხვ.

ასეთია თანამედროვე ქართული პრესის ენაში შენიშნული ძირითადი დარღვევები სიტყვათა განლაგებისას.